# სახალხო გაზეთი

№ 351 ხუთშაბათი, 14 ივლისი, 1911 წ. წელიწადი მეორე. № 351

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ ხადამის 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „ხორავანი“-ში, მადათოვის კუნძულზე და ღირს 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები ხელ არ ინახება; ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12. ფოსტის ადრესი: წერილებისთვის და ფულისთვის Тифлисъ, газ. „Сахалхо Газети“ п. ящ. 190.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

## ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



„სახალხო გაზეთი“ ½ წლით (1 ივლისიდან წლის ბოლომდის) ღირს 4 მ. 80 კ.

დ. ყვირილაში „ხორავნის“ სტამბასა და წიგნის მაღაზიაში მიიღება ხელის მოწერა „სახალხო გაზეთზე“. აქვე მიიღება ყოველგვარი განცხადება იმ გაზეთში დასაბეჭდად.

„სახალხო გაზეთი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოთ:

მოვაგონებთ ჩვენ ხელის მომწერთ, რომ ყოველ თვის დამდეგიდან, ვისაც ხვედრი ფული იმ დროსთვის არა აქვთ წარმოდგენილი—გაზეთი აღარ გაეგზავნებათ.

გაზეთის ფასი დამატებიანათ ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50. | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 8. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური
დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.
ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

ტფილისის ქალაქის მოურავად ნამყოფის განსვენებულ

თ-დ ვასილ ნიკოლოზის ძის ჩერქეზიშვილის

შვილები მოუწოდებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რათა ხუთშაბათს, 14 ივლისს, გარდაცვალების წლის თავზე, მობრძანდნენ დიდუბის ეკლესიის ეზოში, საღამოს 6 საათზე, განსვენებულის საფლავთან პანაშვიდზე დასასწრებლად. (1—724—1)

მიხეილ ალექსანდრეს ძე როსტომაშვილი, შვილები მისნი დავითი, კონსტანტინე, რძალი მისი ნინა დიმიტრის ასული და ქალი მისი ნატალია ქმრიანათ ივანე სოლომონის ძე უხურგუნაშვილი გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ რომ ხანგრძლივ მძიმე ავადმყოფობის შემდეგ, 11 მკათათვეს, გარდაიცვალა პირველის—საყვარელი ცოლი და დანარჩენთა დედა

მართა მარკოზის ასული როსტომაშვილისა.

გასვენება დანიშნულია ხუთშაბათს, 14 მკათათვეს, (საკუთარ სახლიდან, სუფ-მინასის შესახვევი № 12), ავლაბრის წმინდა მარინეს ეკლესიაში, დილის 9 ს. დაკრძალვა პეტრე პავლეს სასაფლაოზე. (1—722—1)

დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ნინა გრიგორის ასული და ერისტავ ივანეს ძე ქავქასიძენი და ელისაბედ იოსების ასული კობახიძისა, რომ აბასთუმანში გარდაიცვალა დაუვიწყარი და ძვირფასი პირველთა—შვილი და მესამის—შვილის-შვილი

ქ ო რ ქ ი კ ი.

პანაშვიდი ხუთშაბათს, საღამოს 7 საათზე, კუკიის წმ. ნინოს ეკლესიაში. წირვა და პანაშვიდი პარასკევს, დილის 10 საათზე და დაკრძალვა იქვე. (2—723—1)

ტფილისის კერძო სამკურნალო
გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება
მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.
ქსენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 509.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველ თვის შეიძლება დღე და ღამეც. ამბულატორულ ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

ზედგენიძე ნ. ა. ნერვ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

დადეშქელიანი რ. ს.—შინაგ. და ნერვებ. ყოველ დღე 1—2 ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანსვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 2—3 ს.

მუსხელიშვილი ვ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ საათ., დროებით წასულია.

მზარეულოვი მ. ი.—კანისა და ვენერ. ყოველ დღე კვირის გარდა, 1—1½ ს.

მელიქიშვილი ნ. მ. ქირურ. და დედაკაც. ყოველ დღე 10—12 ს.

მიქელაძე შ. ა.—შინაგან და ბავშვ. ყოველ-დღე 12½—1 ს.

ტრემბოვეცკი ნ. ს.—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. ორშაბ., სამშაბ., ხუთშაბ. და პარასკ. 12—1 ს.

ფირალოვი რ. ბ. ქირურ. ცისტოსკოპია და საშარდე მილების კატეტერ. ყოველ დღე 12—1 ს.

ხოხთლევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

ხუღაგოვი ა. ი. სამშობიარო და ქალის 12—1 ს. დროებით წასულია.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი წამლობა „606“-ით (Ehrlich-hata) აქვს აგრეთვე საკუთარი მიკროქიმიური და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი. დროებით წასულია.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება სხვა შეთანხმებით. საფასურით. (წ.—1089—510)

ქ. შ. წ. კით. გამ. საზოგადოების კავკასიის განყოფილების გ ა მ გ ე ო ბ ა აცხადებს, რომ კავკავის ქართულ სკოლისათვის

საჭიროა უფროსი მასწავლებელი.

ჯამაგირი ექნება თვეში 60 მან., ბინა, განათება-გათბობა და მოსამსახურე. მსურველთ საბუთის ქაღალდები 1 აგვისტომდე უნდა გამოგზავნონ კავკავის განყოფილების სახელობაზე. (3—1384—2)

ტფ. სათავად-აზნაურო
ქალთა სკოლა

ამით აცხადებს, რომ მოწაფე ქალთა მისაღებად ვაკანსიებია სკოლის პირველ, მეორე და მესამე განყოფილებასა და პირველ კლასში, გამოცდა დაიწყება ამა წლის

აგვისტოს 23 დღიდან

არზები ყოველი საჭირო საბუთებით მიიღება სათავად-აზნაურო გიმნაზიის კანცელარიაში. კანცელარია ღია იქნება ხუთშაბათობით, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის ძირველ საათამდე. (4—1373—2)

საბურთალოზე მშვენიერ ალაგას, ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის ომავალი ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ოთხ-კუთხ საჟენი 80 კ.-დან. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათზე, საღამოს 5 საათიდან 8 საათამდინ. (წ.—1147—91)

წიგნის გამომცემლობა „ალიონი“-ს

მ ი ე რ დაპირებულ სამი წიგნიდან პირველი უკვე დაიბეჭდა, იბეჭდება მეორე, მალე დაიწყება მესამე წიგნის ბეჭდვაც და დაურიგდება ხელის-მომწერთ სამივე წიგნი ერთად.

„ა ლ ი ო ნ ი“-ს აგენტების საყურადღებოდ:

მიუხედავად იმისა, რომ გამომცემლობას ყოველ-მხრივ ხელი შეეშალა ამ სამ წიგნის დროზე გამოცემაში, მაინც იმედოვნებს გამომცემლობის გამგე, დაპირება შეასრულოს ბ-ნი ხელის-მომწერთა წინაშე ახლო მომავალში, რადგან უნდა დაუჯდეს. ვსთხოვთ იმ აგენტებს, რომლებსაც სრული ანგარიში არ შეუტანიათ, შევიდნენ ჩვენს მდგომარეობაში და ხელის მომწერლებისაგან აღებული ფული ჩქარა გამოგზავნონ, რომ ამით შეგვაძლებინონ წიგნის მალე გამოცემა, და აგვაცდინონ პასუხის-მგებლობას იმ აგენტებისა და ხელის-მომწერთა წინაშე, რომლებმაც თავის დროზე შემოიტანეს ხელ-მოწერილი ფული.

გამოიცემა ხელის მოწერითვე „ა ლ ი ო ნ ი“-ს მიერ შემდეგი წიგნები:

1) ივ. გომართელი. „სამკურნალო“, საოჯახო სახელმძღვანელო წიგნი, დაახლოვებით 800 გვ. 100-მდე სურათებით, დაიბეჭდება კარგ ქაღალდზე და ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასში.

2) „გაზაფხული“, ქართველ ახალგაზდა პოეტების ლექსთა კრებული, ლექსები თვით ავტორების მიერაა არჩეული. წიგნი გამოვა ივ. გომართელის რედაქციით.

3) პროფ. რ. გიპპერი. „ისტორია ძველი, საშუალო და ახალი დროისა“, მრავალი სურათითა და რუქებით, თარგმანი გრ. ლორთქიფანიძისა. სამივე ტომი ცალ-ცალკე.

4) ვ. ლუნკევიჩი. „პოპულიალური ბიბლიოთეკა“, თარგმანი ილ. ბელაძისა. ყველა ორმოცივე წიგნი 8 ან 12 წიგნად, ისეთივე სურათებით, როგორიც რუსულს გამოცემაშია.

ყოველგვარი მიწერ-მოწერა და ფულის გამოგზავნა შეიძლება „ალიონი“-თან შემდეგი ადრესით: Тифлисъ, 2-я Тумановска ул., N 32. Амбросію Чалигава, გადასაცემად „ალიონი“-ს გამგისა. (2—1383—1)

სამკურნალო
სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის განქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ასპისოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ.

კალამკაროვი—ქალის ავად. ყოველ დღე, გარდა ხუთშაბათისა, 12—1 ს.

უკლადნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ-დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. და ბავშვ. ყოველ დღე, გარდა ხუთშ. და კვირისა 12—1 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველ-დღე 1—3 საათ.

ჩუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

რუდენკო—შინაგ. ხუთშაბ. და კვირაობით 3—4 ს.

ვეხელოვ-ზახაროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოხელიანისა—ქალ. ავად., ორშაბა., ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ყალამქაროვი—ნერ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606“-ს საღამოს 6—7 საათამდე.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსნერის წესით. შარდის სადენთა ცისტოსკოპია და კატეტერიზაცია. (წ.—1248—69)

ქ უ თ ა ი ს შ ი
ექიმი მ. ი. ჩხენკელი
შინაგან, საბავშვო და საბებიო სნეულებათა. იღებს დილ. 8—12, საღ. 6—8 ს. ორპირის ქ., გიორგიოსელიძის სახლი. (თ.—1321—31)

ვაგზლის კერძო სამკურნალო
გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვაგზლის ქუჩა, N 8. ტელეფონი N 695.

ე. ს. გაშაკიძე—ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9 ნახ.—10 ს.

ა. ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—12 ს.

ბ. ა. პოპოვი—ყოვ. დღე, კვირ. გარდა. ყელი, ყური და ცხვ. სნეულ. 11—11½.

ვ. ს. სტანიშევსკი—ყოველ დღე, კვირის გარდა. შინაგანი ავად. 11½—12 ს.

შ. ა. მიქელაძე—შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.

ნ. მ. მელიქიშვილი — ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

გ. გ. ხოხთლევსკი—ქირურგ., ყოველ დღე, კვირის გარდა. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით

წამლობა „606“-ით.
(წ.—1090—108)

დოქტორი მედიცინისა
ი. გ. ჩუდნოვსკი
კიროჩნის ქ., სახ. № 18.

ოფიცერთა ეკონომ. საზოგ. პირდაპირ. იღებს შინაგან და ნერვებიან ავადმყოფთ—ყოველ დღე დილას 9—11 ს., საღამოს 5—8 ს. (10—1336—4)

ელექტრონისა და რენტგენის
ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო
მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილ. 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გასინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყოროღლის ქ., N 20. (წ.—1249—59

ა ბ ა ს თ უ მ ა ნ შ ი
კბილის ექიმი
ალ. სოლოღაშვილი
იღებს ავადმყოფებს. „დაჩა“ ტერმარქაროვისა. (თ.—1333—24)

ს უ რ ა მ შ ი
კბილის ექიმი
ნინო რცხილაძე
მიიღებს კბილით ავადმყოფებს. გ. ლომსაძის აგარაკი.

ექიმი ი. მ ა შ ა კ ი ძ ე
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. ი—96

ექიმი ა. ნ. დ ი ა ს ა მ ი ძ ე
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოხკოვის ქ. N 4 სახლი ჯაბაშვილისა.

ექიმი შ. ა. მიქელაძე
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდე

ექიმი ვ. მუსხელიშვილი
ხუთშაბათიდან, 21 ივნისიდან, ქალაქ გარედ წავიდა და ამის გამო ავადმყოფებს სექტემბრამდე არ მიიღებს.


## ტფილისი, 14 ივლისი.

**სპარსეთის საქმეები და ევროპის დიპლომატიის.**

რაც მეტი დრო გაივლის, იმდენად უფრო ცხადი გახდება, თუ ევროპის რომელმა სახელმწიფომ რანაირი მონაწილეობა მიიღო მაჰომედ-ალის უკანასკნელ ავანტიურაში. დიპლომატია საზოგადოდ მეშვიდეა(?). უბრალო მომაკვდავთ არც ისე ადვილად შეუძლიანთ გაითვალისწინონ, რანაირს ქსელს აბამენ დახელოვნებული დიპლომატები, ან ვის უგებენ მახეს. სიტყვიერი გამოხატულება ნდობისა და მეგობრობისა ძალიან ხშირად სრულიად არ შეესაბამება ამა თუ იმ სახელმწიფოს დიპლომატთა ნამდვილს სულიერ განწყობილებას. ავიღოთ, თუნდაც უკანასკნელი ამბები—სპარსეთის ძველი შაჰის დაბრუნება. სხვათა დაუხმარებლად შაჰი ვერ მოახერხებდა ვერც გაპარვას და ვერც ბრძოლის გამოცხადებას. ვინ არის ეს სხვა? ევროპაში ბევრი დარწმუნებულია, რომ რუსეთმა იცოდა შაჰის განზრახვაო. ადვილად შესაძლებელია ეს ასეც იყოს, მაგრამ, როგორც შორიდან მაყურებელთ, შეგვიძლიან ვივარაუდოთ, რომ რუსეთი ისე არ იყო დაინტერესებული შაჰის ავანტიურით, როგორც სხვა სახელმწიფონი, მაგალითად, ავსტრია. თვალი გადაავლეთ ყველა იმას, რაც ბალკანეთში ჰხდება და იქნება არც ისე არა ჩვეულებრივად გეჩვენებათ ეს აზრი, როგორც პირველის შეხედვითა სჩანს. უკვე გამოურკვეველ ფაქტად შეიძლება იქმნას აღიარებული, რომ ალბანეთის აჯანყებაში ავსტრია-უნგრეთის დიპლომატია დიდს მონაწილეობას იღებდა. ერთმა დეპუტატმა პირდაპირ განაცხადა, ავსტრია აჯანყებულ ალბანელებს თოფებს ურიგებდაო. ამ დახმარების ერთად-ერთი მიზანი ის იყო, რომ ოსმალეთში საქმეები აეწეწ-დაეწეწა და ამით განემტკიცებინა თავისი მდგომარეობა ბალკანეთში.

დიდ-ხანს ბალკანეთში ტონის მიმცემად რუსეთი ითვლებოდა, მაგრამ გერმანიით ზურგ გამაგრებული ავსტრია მრავალის დიპლომატიური ხრიკებით წინ იწევს და დღეს იგი ისე იქცევა ბალკანეთში, როგორც თავის საკუთარ სამფლობელოში. დიდ-ხნის ბრძოლა გერმანიზმსა და სლავიანიზმს შორის, რომლის დასაბამი შორეულ ისტორიულ წარსულში უნდა ვეძებოთ, პირველის გამარჯვებით სრულდება.

რუსეთი ისეთს აქტიურს მონაწილეობას ველარ იღებს ბალკანეთში, როგორც წინად, მაგრამ ავსტრია მაინც ყოველთვის ჰგრძნობდა და დღესაც ჰგრძნობს, რომ რუსეთი მისი ერთი უდიდესი კონკურენტია. ამიტომ იგი განსაკუთრებულის ყურადღებით ადევნებდა თვალ ყურს ყველა იმას, რაც რუსეთში ჰხდებოდა, და რუსეთის დიპლომატების მოქმედებას. რა თქმა უნდა, ავსტრიისთვის ხელ-საყრელი იქნებოდა თუ რუსეთის გულის-ყურს სხვა რომელიმე საკითხი მიიპყრობდა. თუ ამ თვალსაზრისით შევხედავთ საქმეს, არ შეიძლება განსაკუთრებული ყურადღება არ მიაქციოთ იმ გარემოებას, რომ ძველმა შაჰმა იარაღი სწორედ ავსტრიაში შეიძინა და მერე ავსტრიიდან ბაქოს გზით სპარსეთში შეიტანა. როგორც „რუსკოე სლოვო“-ს ატყობინებენ ვენიდან, ბევრი ამ დახმარებას თვით ავსტრიაში იგი უცქერის, თითქოს ავსტრიას აზრადა ჰქონოდეს რუსეთისთვის გაეწია სამსახური. როგორ ისარგებლებს ამ „სამსახურით“ რუსეთი არ ვიცით, მაგრამ რომ იგი თვით ავსტრიისთვის ძალიან ხელ-საყრელია, ეს მაინც ცხადია.

ბალკანეთში ალბანეთის აჯანყებას მაკედონიის აჯანყებაც დაერთო. დეპეშით ცნობები მოდის, მაკედონელებმა აჯანყებულთა რაზმები შეადგინესო. მახლობელ აღმოსავლეთში მდგომარეობა დღითი-დღე მწვავდება, და სწორედ ამ დროს რუსეთი იძულებული ხდება უმთავრესი ყურადღება სპარსეთის საქმეებს მიაქციოს. მაშ ვისთვის უნდა იყოს ასეთი მდგომარეობა ხელ-საყრელი, თუ არა ავსტრიისთვის?!.

## ნარკვევი
(ჟურნალ გაზეთებიდან)

გუშინ მოვიყვანეთ „ნოვოე ვრემია“-ს ორჭოფი აზრი სპარსეთის შესახებ, საიდანაც მკითხველი მაინც მიუხვდებოდა გაზეთს გულის-თქმას. ამ გაზეთის აზრი იმდენადაა საინტერესო, რამდენადაც შეიძლება იქ ამოიკითხოთ მაღალ სფეროში არსებული მიმართულება. საკმაოა გაითვალისწინოთ რუსეთის საგარეო პოლიტიკა საერთოდ და კერძოდ სპარსეთის შესახებ, რომ ახლავე აჰხადოთ ნიღაბი „ნოვოე ვრემიას“ სათვალთმაქცო სიტყვებს და საგულისხმო „მაგრამს“. ამ მხრივ საგულისხმოა „რუსკი ვედომოსტის“ მიერ რუსეთის პოლიტიკის მოკლე მიმოხილვა:

„ყველას ეხსომება პოლკოვნიკ ლიახოვის როლი მეჯლისის აკლებაში და მოჰამედ-ალის მთელს ბრძოლაში კონსტიტუციონალისტებთან; მოიგონეთ ის საყვედური, რომელიც გვესმოდა სპარსეთში რეაქციის მომხრეობისათვის მაშინაც კი, როდესაც თეირანში ჩვენ წარმომადგენლად იყო ბ. გარტვიგი, შემდეგ მისი მოადგილის საბლინის დროსაც. თვით ტახტიდან ჩამოგდების დროს ხომ ჩვენმა და ინგლისის ელჩებმა მონაწილეობა მიიღეს, შაჰს ხელუხლებლობა აღუთქვეს, ყოველწლიური ჯამაგირი, და 1909 წლის ივნისში გამარჯვებულებიც ამ მოთხოვნაზე დაითანხმეს. უნდა გვახსოვდეს შაჰის ყოფნა ოდესაში, აქედან მისი საზღვარ-გარედ გამგზავრება, ჩვენი მოთხოვნა შაჰისთვის პენსიას ნუ დაუგვიანებთო, თუმცა ცხადი იყო, რომ მისი მეთხებით გაჩნდნენ 1910 წელს სპარსეთში შაჰის სასარგებლოდ აგიტატორები. ახლა კიდევ რაღაც შეუმჩნევლად გაიარა მან მთელი რუსეთის ევროპიული ნაწილი და ისევ სპარსეთში გაჩნდა ტახტის საძიებლად. ასეთია ერთი მხარე სინამდვილისა.

მეორე მხარე კიდევ იმის მაჩვენებელია, რომ სპარსეთის საქმეებით სურს იმპერიას ისარგებლოს გავლენის მოსა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოებლად... დავიწყებული არ უნდა გვქონდეს ასეთი დამახასიათებელი შემთხვევაც, როგორიც იყო ინდოეთ-ევროპის რკინის გზის პროექტი.

ამრიგად, როდესაც ერთმანეთს დავუპირდაპირებთ ამ ორგვარ ფაქტს: ერთის მხრივ კეთილ განწყობილების მაჩვენებელს და მეორე მხრივ კი ანგარიშისას, უნდა გამოვტყდეთ მოჰამედშაჰის შახად აღიარება ძლიერ აინტერესებს რუსეთს. ჩვენ სტუმართ-მოყვარეობით მივიღეთ შაჰი და სპარსეთი არ დავიფარეთ არეულობისაგან. ეს ჩვენთვის შეუძლებელი იყო, თუ არ ვინდომეთ? აი საკითხი, რომელიც უკვე დასვა ევროპამ.

ამ მიმოხილვიდან ცხადი უნდა იყოს თუ, რა პასუხს იძლევა რუსეთის დიპლომატია თავის გულში და ესევე მიმოხილვა ნიღაბსა ჰხდის „ნოვოე ვრემია“-საც.

* *
*

წარმოიდგინეთ, „გოლოს კავკაზა“-მაც კი გამოჰყო ფეხი და სცდილობს თავისი აზრიც წარმოსთქვას ასეთ რთულ საკითხის თაობაზე. ცხადია, რამდენადაც მეტად ხეპრეა ადამიანი, იმდენად უფრო ადვილია მისი გულის თქმათა გაგებაც, რადგანაც იგი თავდაუჭერილია. „გოლოს კავკაზა“-მ არც აცივა, არც აცხელა და პირდაპირ რუსეთის მოქმედების პროგრამასაც იძლევა. მას არ მოსწონს კავკასიის მეზობლად მდებარე სპარსეთის ნაწილის შემოერთება, რადგანაც ეს ველურებიც გასანათლებლები ეგვიხდებიან და დიდი ხარჯი მოგვივაო. არა, იგი ისეთ რჩევას იძლევა, რომლის მეოხები თაც:

„სპარსელებიც რუსეთის ხელქვევით თავისი ელფერის დაუკარგავად მიიღებენ იმას, რაც მათ ყველაზე უფრო ესაჭიროებათ: გარედან უზრუნველყოფას, შინ-მშვიდობიანობასა და კარგს მოქალაქობრივს წეს-წყობილებას...... რუსეთი კი—სპარსეთში უპირატესობის გარანტიას და თავის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესობას“...

არ იკითხავთ, თუ რა მოახდენს ასეთს სასწაულს? ...„უნდა შესწორდეს ტურკმან ჩაის ხელშეკრულობით დადებული საზღვრები: უკეთესია ახლავე შემოვიერთოთ სპარსეთის მუღანი და რუსეთის ახალშენად გადავაქციოთ; შემდეგ უნდა დავიპყროთ კასპიის ზღვის მდიდარი ადგილები და უთუოდ კასპიის ზღვა რუსეთის ზღვად გადავაქციოთ.. რაც შეეხება ჩრდილოეთ სპარსეთს, ის თანდათან უნდა დავიბრუნოთ, ეგვიპტის მსგავსად; მმართველობა სპარსულიუნდა დავტოვოთ, მაგრამ რუსეთის მთავრობისაგან უნდა იყოს იგი შემუშავებული და მათ მიერ წარმოებული“.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **ილ. ბულაძეს, გაზ. „დროება“** რედაქტორს, რომელიც ამ ჟამად ციხეში ზის სასამართლოგადაწყვეტილებით, უთარგმნია რუსულიდგან ვ. ლუნკევიჩის ცნობილი თხზულება: **„პოპულიარული ბიბლიოთეკა“**, რომელიც 40 წიგნაკისაგან შესდგება.—

**გრ. ლორთქიფანიძეს** კი, რომელიც აგრეთვე მეტეხის ციხეში ზის, უთარგმნია რ. ვიპპერის **„ისტორია ძველი, საშუალო და ახალი“**-ს — 3 ტომი.

✦ **დონის როსტოვის საპატიმროში** თურმე, სახადი მძვინვარებს სხვათა შორის ავად გამხდარა და გარდაცვლილა ქართველი პოლიტიკური პატიმარი **კ. სულხანიშვილი.** განსვენებულს მიმართულებისა და რწმენის განურჩევლად დიდი პატივისცემა ჰქონია დამსახურებული გადასახლებულ თანაშემწეთა შორის.

✦ **მხცოვან პოეტის აკაკის მიწვევა რაჭაში** ტფილისში ჩამოვიდნენ რაჭის მაზრის მცხოვრებთა რწმუნებულნი, რომელთაც დავალებული ჰქონიათ მხცოვანი პოეტი აკაკი ონსა და სხვა ადგილებში მიიწვიონ. რწმუნებულნი ამბობენ, საქართველოს ყველა კუთხემ პატივი სცა დიდებულ მგოსანს, მხოლოდ ჩვენ, რაჭველებს, ასეთი ბედნიერება არ გვქონიაო. სამწუხაროდ რაჭველთა რწმუნებულებმა აკაკი ვერ ნახეს, რადგანაც მგოსანი ამ ჟამად თელავში იმყოფება, საიდანაც მოკლე ხანში დაბრუნდება.

✦ **„კახეთის“** საზოგადოების დირექტორი თავ. ლევ. ვაჩნაძე ამ თანამდებობას თავს ანებებს.

✦ საგუბერნიო საპყრობილისა და მეტეხის ციხის უფროსი რიმკევიჩი უკვე დაბრუნდა ყარაიაზიდან ტფილისში.

✦ **ლაღიძის ქარხნის დათვალიერება.** 12 ივლისს სასანიტარო მზრუნველმა გ. ი. თამამშევმა, ექიმმა ქალანთაროვმა, მესამე საპოლიციო უბნის ბოქაულმა დუშინსკის და სხვებმა, ლაღიძის ხილეულობის წყლის ქარხანა დაწვრილებით დაათვალიერეს. ქარხნის ყველა განყოფილებაში იშვიათი სისუფთავე აღმოჩნდა. სასანიტარო კომისიამ აგრეთვე შეამოწმა და აღმოაჩინა, რომ ხელოვნური წყალი ნადული წყლისაგან კეთდება.

✦ **ტრამვაის დირექციასა და ქალაქის თვითმმართველობის შუა დავა იწყება.** როგორც მკითხველებმა იციან, ქალაქის საბჭოს სატრამვაიო კომისიამ უკანასკნელ ხანს მრავალჯერ დააჯარიმა ტრამვაის საზოგადოება იმის გამო, რომ ქალაქში იმდენი ვაგონი არ მუშაობდა, რამდენიც უნდა ყოფილიყო ქალაქსა და ტრამვაის დირექციას შორის დადებულ ხელშეკრულობის ძალით. ამ ჟამად ამ ჯარიმების ჯამი 150,000 მანეთს უდრის. ტრამვაის დირექცია ამ ჯარიმების თაობაზე ბრიუსილში უსახელო საზოგადოებას შეეკითხა, რომელმაც ტფ. ტრამვაის დირექციის იურისკონსულტს ი. სიგალს დაავალა, 150,000 მანეთის დასაბრუნებლად სასამართლოში დაიწყოს საჩივარი.

✦ **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ** ტფილისის გუბერნატორსა სთხოვა რათა მას ტფილისში მუზეუმისა და ბიბლიოთეკის გახსნის ნება დართოს.

✦ **სასანიტარო კომისიამ მტკვრის ნაპირი** მუშტაიდის მახლობლად მეტად უსუფთაო მდგომარეობაში აღმოაჩინა: ეს ამბავი ქალაქის გამგეობას ეცნობა.

✦ ჩვენი ახალგაზდა მხატვარი **მოსე თოიძე** ამ ჟამად თიანეთის მაზრაში მოგზაურობს და საყურადღებო ნახატებს ამზადებს.

✦ ქალაქის გამგეობასთან არსებულ საექიმო-სასანიტარო ბიუროს ცნობებით ტფილისში 21 ივნისიდან 1 ივლისამდე ყოფილა: არამიანცის საავადმყოფოში—111 ავადმყოფი; მიემატა—55, გამოეწერა—48, გარდაიცვალა 5, დარჩა—113.

ბარაკში: ყვლპირვებით—6, გაეწერა—1, დარჩა—5; ხუნაგით—13, ჩაეწერა—8, გამოეწერა—10, გარდაიცვალა—1, დარჩა—10; საოფლით—3, დარჩა—3; ყვავილით—3, გაეწერა—1, დარჩა—2.

ალექსანდრეს კანისა და ვენერიული ავადმყოფობის საავადმყოფოში: 31 კაცი და 26 ქალი, გაეწერა—22 კაცი და 8 ქალი, გაეწერა 27 კაცი და 7 ქალი, დარჩა 27 კაცი და 27 ქალი.

სულით ავადმყოფთა თავშესაფარში იყო—29 კაცი და 21 ქალი. გარდაიცვალა 1 კაცი. დარჩა—28 კაცი და 21 ქალი.

## წვრილი ამბები

✦ 12 ივლისს, მტკვრის პირას, ტფილისის გრენადიორთა მე-15 პოლკის მახლობლად იპოვეს გვამი 9 წლის ბავშვის პავლე პეტრეს ძის მიხაილოვისა, რომელიც 9 ივლისს უკვალოდ დაიკარგა.

✦ 11 ივლისს შეიპყრეს რამდენიმე ჯიბგირი. მათშა იცნეს ერთი, რომელმაც ამ სამის დღის წინად თსიმ ხიზანოვს ჯიბიდან 706 მანეთი ამოაცალა.

✦ 12 ივლისს, ნაშუადღევს 1 საათზე, ჩერქეზიშვილის ქუჩაზე ტრამვაის ვაგონი № 57 მეეზოვეს სვიმონ თხანაშვილს დაეჯახა და თავსა და ფეხებში მსუბუქად დაამავა.

✦ 12 ივლისს ტფილისში შეიპყრეს 11 უპასპორტო.

✦ გუშინ, სასანიტარო კომისიამ მუშტაიდის შესახვევში ალი-აქპერ-ოღლის დუქანში 29 ცადი უვარგისი საზამთრო აღმოაჩინა.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ფილოქსერის ახალ ბუდეების აღმოჩენის გამო.** მიწადმოქმედე და მიწად მომწყობ მთავარ გამგის კავკასიის რწმუნებულის ბ. არხიპოვის კანცელარიაში გუშინ წინ შესდგა კრება მევენახეობის და მევაზეობის სპეციალისტებისა. კრებას თავმჯდომარეობდა ბ-ნი არხიპოვი. კრებამ დაადგინა მიწადმომწყობი და მიწადმოქმედ დეპარტამენტის წინაშე საჩქაროდ აღძრას შუამდგომლობა, რათა **გადასდოს დამატებით 4500 მანეთი** ფილოქსერასთან საბრძოლველად. თუ ეხლავე სასტიკი ზომები არ მიიღეთ, მილიონიანი ზარალი მოსალოდნელიაო.

✦ დღეს, საღამოს 8 საათზე კავკასიის საიმპერატორო სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების სადგომში (ალექსანდრეს ბაღი), მოხდება **მორიგი კრება ქართულ სასოფლო სამეურნეო კაზოგადოების საბჭოსი.** განსახილველი: 1) საზოგადოების მომავალ მოღვაწეობის გეგმა და თუ დრო დარჩა 2) ავლევის სკოლის დათვალიერების შთაბეჭდილებანი.

## რკინის გზაზე

✦ ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსად, როგორც გადმოგვცეს, **გენერალ-მაიორს კარპოვს ნიშნავენ.** სამხედრო წესების მოხსნა ჯერ-ჯერობით უდროოდ უცვნიათ.

✦ დღემდე, რკინის გზის სადგურები ვალდებულნი იყვნენ მთავარ სამმართველოში ყოველ დღე ეგზავნათ დღე-ღამის ანგარიში. ეხლა მთავარ-გამგეობამ გადასწყვიტა ეს ანგარიშები მხოლოდ თვის ბოლოს წარუდგინონ ხოლმე.

✦ მთავარმა სამმართველომ განკარგულება მოახდინა, რათა სამხედრო სკოლების მოწაფეებს, რომელნიც აღლუმებზე და სავარჯიშოდ მიდიან, გადაახდევინონ ფასი საექსკურსიო ფასების მიხედვით. გარდა ამისა მოსამსახურეთა შვილების ბილეთებში უნდა აღნიშნონ წლოვანება და სქესი მოგზაურ ბავშთა.

✦ **სად. აქსტაფაში** (ბაქოს გზა), 10 ივლისს საქონლის მატარებელმა № 247 გასრისა მუშა ოთსებაძე.

✦ **სად. ქურდამირთან** (ბაქოს გზა), 11 ივლისს, 65 ვერსის დარაჯს თავს დაესხა ორი ბოროტმოქმედი. ცოტა ხნის სროლის შემდეგ უცნობნი მიიმალნენ. არავინ დაჭრილა.

✦ **სად მალაიხთან** (ყარსის გზა), 10 ივლისს სამგზავრო მატარებელი **№ 107** დაეჯახა ურემს, გასრისა ერთი კამეჩი და ურემი დალეწა. ადამიანი არავინ უმსხვერპლია.

✦ **სადგურ სანაინსა და კალაგირის** შუა (ყარსის გზა), მეორე კლასის ვაგონში უეცრად გარდაიცვალა მოგზაური მიუსლმანი. მგზავრები ხოლერის შიშით ძლიერ დაფრთხნენ. იქ დამსწრე ექიმების შემოწმების შემდეგ გამოირკვა, რომ იგი გულის სიგანივრით გარდაცვლილა.

## ქუთაისი.

✦ კლასიკურ გიმნაზიის სადვთო სჯულის მასწავლებელი **დეკანოზი ერმალოზ კანდელაკი,** რომელმაც იურკევსკის საქციელი გამოამჟღავნა, ბაქოს გიმნაზიაში გადაიყვანეს.

## ბათუმი

✦ **ქალაქის მოურავის არჩევნები** გუბერნატორმა შეაჩერა.

## თელავი

✦ 20 ივლისს, ილიაობას, აქაურ საკრებულო დარბაზში გაიმართება **ჩვეულებრივი საღამო ილიას ხსოვნის აღსანიშნავად.** წერა-კითხვის თელ. განყ. გამგეობა უკვე შეუდგა საღამოს თადარიგს. მონაწილეობას მიიღებენ ელო ანდრონიკაშვილისა და შალვა დადიანი. ბ-ნმა შაქრო ჩხიკვაძემ უკვე დაიწყო მომღერალთა გუნდის მზადება. ამას გარდა დაიდგმება ცოცხალი სურათები განდეგილიდან. საღამო საერთოდ მდიდარი იქნება შინაარსით. საღამოს დიასახლისად მიწვეულია კნეინა ქეთევან ივანეს ასული რუსიევისა. ამ საღამოს, სხვათა შორის, ჩვენი მგოსანი აკაკი წერეთელიც დაესწრება.

## პროვინცია.

✦ **აგ. კოჯორი** (ტფ. მაზრა). პარიკმახერ ნიკოლოზ უგრელიძის საყვარელს, ნინო გრემელოვს და უგრელიძის ქარგალს იასონ ცეცხლაშვილს მოუღალატნიათ, უგრელიძე მოკლესო. ამ მიზნით მათ 100 მანეთით მოუსყიდნიათ მეორე ქარგალი ნიკო პეტრიაშვილი, რომლისათვისაც ნაღდ ფულის მაგიერ შესაფერი თამასუქი მიუციათ. უკანასკნელს კი უფლისწული გაუმჟღავნებია უგრელიძისათვის. ბოროტგამზრახველნი შეიპყრეს.

✦ **სოფ. ხულდა** (ახალქალაქის მაზრა). თუმასთვის 10 წლის ვაჟიშვილს სიხლში რევოლვერს ათამაშებდა. უცბად რევოლვერი გავარდა და მკერდში მძიმედ დასჭრა ბაღდასარ ფარმანიანცი.

## ჯეჯემა

(საკუთარი კორესპოდ.)

**აგარაკი ბახმარო** (ოზურგეთის მაზრა). ფილიმონ ქორიძე სიკვდილის პირს არის.

# ჟურნალისტის დღიური

31.

**ახალი ქურუმი ინტერნაციონალიზმისა.**

საქალაქო არჩევნებისადმი წელს გაცილებით მეტი ინტერესი არსებობს, ვიდრე სხვა დროს. სხვა და სხვა საზოგადოებრივ ჯგუფთა შორის ბრძოლა რომ არჩევნების დროს უფრო სასტიკი იქნება, არც ეს არის საიდუმლო. ქალაქის შვიდ საარჩევნო უბნად დაყოფა ძირიან-ფესვიანად შესცვლის ფიზიონომიას დღევანდელ საბჭოსას, რადგანაც სოლოლაკელებს, ქალაქის თვითმართველობის ამ მუდმივ ბატონ-პატრონთ, თავიანთი გარემოებათაგან შექმნილი მონოპოლიის უფლება დაეკარგებათ. წინად, როდესაც ქალაქი რამდენიმე საარჩევნო უბნად არ იყო გაყოფილი, სოლოლაკელები, როგორც უფრო უზრუნველყოფილნი მატერიალურად და ორგანიზაციულადაც შეთანხმებულნი, ყველა სხვა ჯგუფებს სჯობნიდნენ და ქალაქის თვით-მმართველობის ბატონ-პატრონობას ხელში იგდებდნენ. ქალაქის საარჩევნო უბნების გამრავლებამ დიდი საფრთხე განუმზადა ბედით ვანებიერებულ სოლოლაკე

# მოთქმა სამარესთან

თარგმანი.

im წმინდა ადგილს, სად დამარხულხარ,
აღარ სჩანს ლოდი საფლავს მდებარე;
ყველამ დაგტოვა, ერთს კვლავ ახსოვხარ,
შენთვის სცემს გული მარად მგზნებარე.
თუმცა ერთმანეთს ზღვა გვაშორებდა,
მაინც სიყვარულს ღრმად ვინახავდი;
ოცნებას შენსკენ მოვაქროლებდი,
ვგრძნობდი, რომ ცოცხალს ვეღარ გნახავდი.
უკანასკნელად, რომ გეთქვა მაინც:
„ისე გშორდები, როგორც მეგობარს!“—
ჩემს სულს სასტიკად აღარ დავსჯიდი,
არც ვაყივნებდი უწყალოდ გრძნობას!
ოდეს სიკვდილმა გისწრო უდროოდ,
დაგიჭკნო ვარდი, წაგართვა ღონე;
ვისაც უყვარდი, ვის გულშიც სცხოვრებ,
ნუ თუ იმ წამსა არ მოიგონე?
ოჰ, ვის შეეძლო ჩემებრ ერთგულად
ჟამსა სევდისას გაგფრთხილებოდა?
ვინ გადევნებდა თვალყურს მწუხარეს,
ოდეს სიკვდილი გეპარებოდა?
აწ სამუდამოდ წახველ, დამშორდი,
გულს სოფლის ვნება აღარ გიღელვებს;
დასჯექ სატირლად, ცრემლი დავღვარე,
დღესაც უშრეტი ლაწვზე მიელვებს.
და ვაი ჩემს თავს! რად არ ვსტიროდე,
ოდეს ვიგონებ ადგილს აწ დანთქმულს?
უწინ აქ ორნი ვინაწილებდით
ცრემლით განბანილს ტკბილსა სიყვარულს.
მაშინ ჩვენ მხოლოდ ორსა გვატკბობდა
თვალთა იხარნი, მეტად მხურვალე;
შენს ხელს მთრთოლვარეს ეკონებოდი
ნაზი ალერსით ბაგე მწყურვალე.
ჩვენ გვეკუთვნოდა კოცნა უმანკო,
რომელიც ასე სულს ამშვიდებდა;
გრძნობა თვით ვნებით აღელვებული
მის ზეგავლენით თავს იკავებდა.
იგი ხმა ნელი მგვრიდა სიხარულს
როს შენ ჩემს სურვილს ეურჩებოდი;
ვისმენდი მარად წყნარსა გალობას,
ციურის ჰანგით ვიხიბლებოდი.
შენს სამახსოვროს დღემდის ვინახავ,
წმინდა კავშირის მოსაგონებელს;
მაგრამ შენ თვითონ მითხარ, სადა ხარ?
რა პასუხს მაძლევ დამაღონებელს?
ბევრჯელ ჩემს თავზე გადაუვლია
ტანჯვას, სიმწარეს და მწუხარებას;
ამაყად მდგარვარ, დღეს კი ქედს ვუხრი
შენგან მოძღვნილსა შავს მდუღარებას.
ვაჰ მაგ ტრფობას! რომ დამიტოვე
ჯერ ნორჩს, გაუშლელს შხამი, ნაღველი;
დავლევ და დაე მიწამ მიმიღოს,
თუ კი აღარ ვარ შენი მნახველი!

ა. შანშიაშვილი.

# რა ცვლილება განიცადა მიწად-მოქმედებამ მეცხრამეტე საუკუნეში

(ალ. ჩუართვისა).

მინერალური სასუქი და ნიადაგის აზოტით გაპატივება ცერცვოვან მცენარეთა მეოხებით განსაცვიფრებელ სისწრაფით მოედო ყველა განათლებულს ქვეყანას წარსულ საუკუნის მიწურულში და ძირიან ფესვიანად შესცვალა იქაური მიწათმოქმედება. მოვისმინოთ, თუ რას ამბობს ამ ცვლილების შესახებ პროფ. პავლე ვაგნერი, დარმშტადტის საცდელ სადგურის გამგე, რომელმაც თავის დაუდგრომელ სამეცნიერო და პრაქტიკულ მოღვაწეობით ყველაზე მეტად შეუწყო ხელი მინერალურ სასუქის გავრცელებას გერმანიაში: „მინდორი და საძოვარი, სწერს ვაგნერი, ეხლა სულ სხვა სურათს წარმოადგენს. მუქი, ცვრიანი მწვანილი, ძლიერი ყლორტი, ხშირი გათამამებული ნათესობა მწვანე ხავერდათა ჰფარავს იმ მიწას, რომელზედაც უწინ აქა იქ მოსჩანდა დაჩაგრული, უხეირო ბალახი. ხავსი გაჰქრა, საძოვრებიდან ამოვარდა; მწარე ბალახი და ძნელად მოსანელებელი პურეულები, ყოვლად უვარგისნი და გამოუსადეგარნი, გაჰქრნენ. მათი ადგილი დაიჭირა ერთნაირმა და ხშირმა ნათესობამ სამყურა-ბალახისა და იონჯისამ, რომლის უხვი მოზღვავებული მოსავალი გულს უხარებს გარეშე მაყურებელსაც კი. თავის მტრებსაც უკეთ უხვდება ახლანდელ სოფლის მეურნე: იმა აღარ ეშინიან, ველარაფერს დააკლებს ვერც ჰია-ღუა, ვერც სხვა და სხვა სენის დედა—სოკოები, ვერც სიცივე, ვერც ქარბი სინესტე და საზოგადოთ უხეირო ამინდი; თუ სულ ველარასფერს ავნებენ, მათი ვნება მაინც და მაინც ძალიან შემცირებულია. და არც გასაკვირველია, რადგან სალი, კარგად ნაკვები, ნასაზრდოვები მცენარეები უფრო მედგრად, დიდხანს გაუძლებენ ყოველგვარს ჭირს. რასაც მათ ჰია-ღუა ან სიცივე ზიანს მიაყენებს, მცენარე თითონ, პატრონის დაუხმარებლივ, იცილებს, იშორებს; ყოველგვარი სენის დედა-მიზეზი—სოკოები ვეღარ იკიდებენ ფეხს მცენარის სალ და მაგარ სხეულში; გოლვის წინააღმდეგ იგი იბრძვის მით, რომ ღრმად იდგამს ფესვებს დედა-მიწაში, თუ წყალი აქვს ჰარბად, მრავალს ფოთოლს იკეთებს და ამით მეტს წყალს ხარჯავს. და ყველა ეს, სრული ჭეშმარიტებაა, თვალი, როდი ატყუებს კაცს: ნამდვილად სულ მთლად იცვალა მიწათ-მოქმედების წესი ამ რამდენიმე ათი წლის განმავლობაში. ბუნებისმეტყველებამ იმოდენა რამ გამოიკვლია მცენარის კვება—საზრდოს შესახებ, ისეთ წარმოუდგენელ სისწრაფით განვითარდა მიწის წესიერად ხელოვნურ სასუქებით გაპოხივრების თეორია-პრაქტიკა, რომ სოფლის მეურნე ბევრად უფრო თამამია, დამოუკიდებელი მის მეურნეობის ადგილობრივ პირობებისა და თვის მიწის თვისებებისაგან, არც თუ დაწესებულ მცენარეთა ცვლისაგან*). ეხლა იგი მას არაფრის შიში აქვს რა; მწირს, უხეირო მიწას ეხლა იგი თავის ცოდნით და შრომით ანოყიერებს, მიწადა ჰხდის; ძალა გამოლეულ, უყაირათო მეურნეობით დასუსტებულ მიწას ის ხელათვე მოაცემინებს უხვს მოსავალს; იმას ეხლა უკვე შეუძლიან გამოიყენოს თავის ნიადაგის, ჰავის, ბაზრის უპირატესობანი; მას ეხლა შეუძლიან, როგორც უნდა ისეთი მცენარე მოიყვანოს, მოაცემინოს საუკეთესო ნაყოფი, უუხვესი მოსავალი“.

ცნობილ აგრონომის სიტყვების დასამტკიცებლად, მე მოგიტანთ მრავალთ-უმრავლეს ცნობებთაგან ორიოდ სამიოდ ვარაუდს, იმის გამოსარკვევად, თუ როგორ ჰმოქმედებს მოსავლის რაოდენობაზე წესიერად ხმარებული ხელოვნური სასუქი. ამ ახლო ხანში დაბეჭდილ თავის შრომაში ბ. ვაგნერს 7 წლის მინდორში ცდა-გამოკვლევის (1897—1903 წწ.) შედეგი მოჰყავს. შვრიამ 2 წლის განმავლობაში უსასუქოდ მოვიდა დესეტინაზე $120^1/_2$ ფუთი და 127 ფუთი; სასუქით სავსებით გაპოხიერებულზე—$266^1/_2$ ფუთი და $265^1/_2$ ფუთი; ჰარბი ჩალა, ნამჯა, რომ ვივარაუდოთ, პატრონმა ეტი აიღო, გაუპოხიერებულს რომ შევადაროთ—155 მან. 48 კაპ. და 143 მან. 98 კაპ. აგრეთვე შვიდი წლიწადი სცდიდნენ პურის (ხორბლის) მოსავალს—გაუპოხიერებელზე მიდიოდა ყოველწლივ ანეული (შემოდგომის ნათესი) 94 ფუთი გაპოხიერებულზე—203 ფუთი დესეტინაზე, ისე რომ პატრონმა გაპოხიერებულზე ჰარბი აიღო 143 მ. და 52 კ.; შვიდი წლის დაკვირვების შედეგი ისეთია, რომ მინერა-

*) მცენარეთა ცვლა—ჰქვიან იმ წესს, როდესაც მცენარე იცვლის ადგილს და დროს.

...ლებს. ამას კარგადა ჰგრძნობდნენ, როდესაც წინააღმდეგი ხდებოდნენ ქალაქის საარჩევნო უბნების გამრავლებისა. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ სოლოლაკელთა გოდებას ყური არ ათხოვა და ქალაქი შვიდს საარჩევნო უბნად გაჰყო.

ასეთი დანაწილება უეჭველია ამომრჩეველთა ახალს დანაწილებასაც გამოიწვევს. თქმა არ უნდა, არჩევნების დროს მრავალი ახალი ისეთი ელემენტი გაჩნდება, რომელიც დღემდის სრულიად არა სჩანდა. ეს გარემოება ჩვენგან დიდს დაფიქრებასა და ჩაკვირვებას მოითხოვს. არჩევნების დროს გულწრფელობას დაჩვეულნი არა ვართ. ისეთ ლოზუნგებმა, რომელთაც უეჭველია სხვა და სხვა საზოგადოებრივი ჯგუფები გადმოისვრიან არჩევნების დროს, არ უნდა დაგვაბრმავოს. საჭიროა სინამდვილის გათვალისწინება და ნათელ-წარმოდგენა იმისა, თუ ვის რა უფრო აწუხებს, რა დაფარული მიზანი აქვს. სოლოლაკელები, მაგალითად ყოველთვის გვარწმუნებდნენ, ჩვენ ინტერნაციონალისტები ვართო. მართალია მათს მეტს არავისა სჯეროდა სოლოლაკელთა ინტერნაციონალიზმი, მაგრამ ისინი რომ ამ ლოზუნგით გამოდიოდნენ არჩევნებში, ეს მაინც ფაქტადა რჩება. სოლოლაკელთა „ოფიციოზი" „ტიფლ ლისტოკი"-ც მხარს უჭერდა მათ და ამტკიცებდა, ჩვენ ინტერნაციონალურ ნიადაგზე ვდგევართო. რა ფასი და მნიშვნელობა აქვს იმ ინტერნაციონალიზმს, რომელსაც ქალაქის თვითმმართველობაში გაბატონებული სომხები ჰქადაგებენ, ეს ყველასთვის ცხადია. ნაციონალურ ნიადაგზე რომ დადგნენ, მაშინ ნაწილი თავიანთ უფლებებისა ისეთს ერებს უნდა დაუთმონ, რომელნიც დღეს გარიყულნი არიან ქალაქის თვით-მართველობიდან. ნამდვილი და ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი მოითხოვს ყველა ერთა შეთანხმებულ და სოლიდარულ მოქმედებას. ქალაქის თვით-მმართველობაში გაბატონებული სომხები და მათთან ერთად „ტიფლ. ლისტ."-იც ერთს ყიჟინას ასტეხენ ხოლმე და ქართველებს ნაციონალისტებს უწოდებენ მარტო იმიტომ, რომ ქართველებსაც საჭიროდ მიაჩნიათ ქალაქის თვით მმართველობაში მონაწილეობის მიღება. ეს კი საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია არა სომხების ინტერნაციონალიზმისა, არამედ უკიდურეს ნაციონალიზმისა.

აღსანიშნავია, რომ ეროვნულს მოტივების თაობაზე „ტიფ. ლისტ." განსაკუთრებით მაშინ დაიწყებს ხოლმე ლაპარაკს, როდესაც რომელიმე არჩევნების ვადა მოახლოვდება. ამასთანავე ერთად აალაპარაკებს ხოლმე ისეთს პირებს, რომელთაც გულ-წრფელობაშიაც, თითქოს, არავის ეჭვი შეეპარება. თავის დროზე ყოველს ამისთანა შემთხვევას აღვნიშნავდით ხოლმე. ეხლაც არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ ბ-ნ ირ. გულისაშვილის წერილი, რომელიც „ტიფლ. ლისტ."-ის 156 ნომერში დაიბეჭდა. ბ-ნი გულისაშვილი გვპირდება პოპულიარულ წერილებს დავბეჭდავო „ჩვენს" გაზეთში საქალაქო საქმეებზედ და გზა და გზა კი აღნიშნავს, ნაციონალური ელემენტი სრულიად უნდა განდევნილ იქმნას ქალაქის საქმეებიდანაო. საინტერესოა ვიცოდეთ, ვის აძლევს ამ დარიგებას ბ-ნი გულისაშვილი? თუ ქართველებს ეუბნება, ძალიან შემცდარი ყოფილა, რადგანაც ქართველები ყოველთვის სომხების ნაციონალიზმს ებრძოდნენ და მათგან თხოულობდნენ ნაციონალიზმის განდევნას ქალაქის თვითმმართველობიდან. თუ სომხებს ეუბნება, მაშინ „ტიფლ. ლისტ."-ისკენ უნდა მიმართოს თავისი შენიშვნები, რადგანაც უპირველესი დამცველი ნაციონალიზმისა, თუ მარტო სიტყვებზე არ დავემყარებით და ცოტა ღრმად შევხედავთ საქმეს, თვით ის გაზეთია, რომელსაც ბ-ნი ირ. გულისაშვილი „ჩვენს" გაზეთს უწოდებს. არ ვიცით, რით ხელმძღვანელობს ბ-ნი გულისაშვილი, როდესაც ასე იქცევა, მაგრამ დიდს შორსმჭვრეტელობას რომ ვერ იჩენს, ეს ყველა ცოტად თუ ბევრად საქმეში ჩახედულ მკითხველისთვის ცხადია.

**შინაური.**

## აკაკი თელავში

მახსოვს, ჩემ სიყმაწვილეში, ქუთაისში ყოფნის დროს, აკაკიმ ეტლით გაიარა და ჩემმა ნაცნობმა მხოლოდ მაშინ წამკრა მუჯლუგუნი—აგერ აკაკი მობრძანდებაო, როცა ეტლი უკვე გასცდა. მთელი საათი ვიარეთ, გვეგონა უკან გამობრუნდებოდა, მაგრამ ამაოდ და ისე წამოვედი, რომ თვალი ვეღარ მოვკარი და გულში დარდად ჩამრჩა: ქუთაისში ვიყავ და ჩვენი დიდებული პოეტი კი ვერა ვნახე.

მე მგონია, ჩემს მაგივრად რომ სხვა ყოფილიყო, მასაც ასე სანანურად ჩაჰყვებოდა გულში. დღეს-კი ჩვენ, თელაველებს, და მასთან კახელებს, შემთხვევა გვეძლევა ვინახულოთ ჩვენი მცხოვანი აკაკი. ამ ჟამად აკაკი თელავშია.

დიდის სიამოვნებით მიმიღო და მიუხედავად იმისა რომ ეტლი კარზე უცდიდა სხვაგან წასასვლელად, ნახევარ საათი ვისაუბრეთ.

საგანი, რასაკვირველია რაც აინტერესებს დიად მგოსანს, ზეპირ გადმოცემანი, საარქეოლოგიო სიძველენი, კახეთის მშვენიერება და სხვა.

აკაკი თელავში 8 ივლისს ჩამობრძანდა. მხოლოდ რამდენისამე დღის წინედ გაიგო თელავის საზოგადოებამ და მოლაპარაკება ჰქონდათ მის დასახვედრად: შუამთასთან ეტლებით უნდა მიჰგებებოდნენ, ხოლო სადგურზე წ.-კ. საზ. წევრნი დახვდებოდნენ, მაგრამ... სხვა და სხვა მიზეზების გამო, არც ერთი იყო, არც—მეორე. ჯერ ერთი, დანამდვილებით პოეტის მოსვლა არ იცოდნენ და მეორე დღეს წავიდნენ კიდეც გზაზე ეკითხათ, მაგრამ ეპასუხნათ, აკაკი აქ არავინაო.

ამის გამო, მეც სანანური მოვახსენე, მაგრამ მოხუცმა გაიკვირვა: ეგ არაფერი, სულ მეტია და არც მიყვარს საზოგადოების შეწუხებაო.

ვიცოდი გზაზე შეწუხდებოდა, მართლაც მეტად გამაწვალესო—მომიგო ჩემ კითხვაზე. 4 ადგილიან ომნიბუსში 6 სული ჩაესხათ და რასაკვირველია ამისთანა გარემოებაში შეწუხდებოდა.

აკაკი ეს მესამედ მობრძანებულა კახეთში. „ყოველთვის კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს კახეთი ჩემზე და მინდა უკანასკნელად ერთხელ კიდევ ვნახო საყვარელი ილიას სამშობლო კახეთიო".

აკაკიმ მგზავრობის შემდეგ საკმაოდ დაისვენა, კარგადა ბრძანდება, იგი 13 ივლისს ლექციას წაიკითხავს, ხოლო მეორე დღეს თელავის საზოგადოება ნადიმით გაუმასპინძლდება ათას წლოვან ჭანდრის ქვეშ.

აკაკი ჯერ-ჯერობით კახეთში დარჩება და 20 ივლისს ილიას საღამოს დაესწრება თელავში.

**დამსწრებული.**

## წ. კ. საზ. თელავის განყოფილების წევრთა კრება

თუმცა წ. კ. გამგეობამ წინდაწინვე ხელის მოწერით მოიწვია კრებაზე მთელი თელავის ქართველი საზოგადოება, მაინც მცირე რიცხვი გამოცხადდა. ჩვენში, საუბედუროდ, მარტო ლაპარაკი იციან, ისიც მორიდან. ამასთან თხოულობენ ყველაფრის გაკეთებას, როცა კი ჯერი საქმეზე მიდგება, არა თუ საქმით არ ეხმარებიან, არამედ სიტყვითაც არ თანაუგრძნობენ.

მთელი თელავის საზოგადოებიდან ამ კრებაზე მხოლოთ 20 უკვე ჩაწერილი წევრი გამოცხადდა, ამდენივე გარეშე პირი იქნებოდა.

თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა დ. ზ. სარაჯიშვილის და განყოფილების გარდაცვლილ წევრთა დეკ. მიხ. ხელაშვილის და თავ. ივ. მაყაშვილის ხსოვნას.

გამგ. ხაზინადარი კითხულობს ანგარიშს, ხოლო თავმჯდომარე გზა და გზა შემოსავალ გასავლის მუხლებს განმარტავს.

1910 წელს შემოსავალი ჰქონია 64 წევრის საწ. გადასახადი—192 მ. გასართობ—საღამოებიდამ 333 მან. 29 კ. შემოწირულება 10 მ. წინა წლიდამ დარჩენილი 334 მ. 69 კ. სულ 870 მან. 29 კაპ. ხარჯი: 1909 წლის შემოსავლის %% მთავარ გამგეობას 71 მ. 40 კაპ. წიგნის მაღაზიის გახსნა-მოწყობა 695 მ. წვრილი ხარჯი—30 მან. 39 კ. სულ 796 მან. 79 კაპ. ამას უნდა მიემატოს 1910 წლის შემოსავლის %%, რომელიც გამგეობას ჯერ არ გაუგზავნია მთავარ გამგეობაში.

ანგარიში თითქმის უკამათოდ დაამტკიცა კრებამ.

მდივანმა გამგეობის მოქმედების მოკლე ანგარიში მოახსენა კრებას: კრებები თვეში 2—8-ჯერ ჰქონიათ, განსახილველ საკითხებს უმთავრესად შეადგენდა—წიგნის მაღაზიის გახსნა, გასართობ-საღამოების გამართვა წევრების შეძენა, ილია ჭავჭავაძის მამულის შეძენისთვის შუამდგომლობის აღძვრა, ი. ა. ზარაფიშვილის წ. კ. საზოგადოებისთვის ნაანდერძევ სახლის ვალისაგან განთავისუფლება და სხვა.

წიგნის მაღაზიის გამგემ დაწვრილებით მოახსენა მაზალიის ანგარიში. ამ ცოტა ხანში მისი საქმე მეტად რიგიანად დაუყენებიათ და ვაჭრობაც კარგად მიმდინარეობს. კრებამ ანგარიშის მოსმენის შემდეგ მადლობა გადაუხადა როგორც მაღაზიის გამგეთ, ისე გამყიდველ ქალს მ. კურდღელაშვილისას.

განყ. გამგეობას გადაუწყვეტნია სკოლის გახსნა და მისი ხარჯი 1911 წლის ხარჯთ-აღრიცხვაში შეუტანია. კრებამ სიამოვნებით მიიღო ეს წინადადება და დაავალა გამგეობას მისი სისრულეში მოყვანა.

გამგეობას განძრახვა ჰქონია აგრეთვე სკოლა გახსნა ს. ყვარელში ილიას მამულში. პირველად სად გაიხსნას სკოლა, ამან ცოტა ლაპარაკი გამოიწვია, მაგრამ მიიღეს რა მხედველობაში ის გარემოება, რომ ჯერ ერთი, თელავი უნდა იყოს განყოფილების მოქმედების ცენტრი და მეორე—კიდევ ილიას ყვარელის მამული ჯერ გამგეობაზე არაა გადმოცემული და სახლ-კარს შეკეთება სჭირია, კრებამ ერთხმად დაადგინა, სკოლა ჯერ თელავში გაიხსნას.

ბოლოს წაიკითხეს მთავარ გამგეობის წერილი ილიას ძეგლის დამთავრების თაობაზე. დამსწრეთ იქვე გამართეს ხელის მოწერა და დაავალეს გარედაც ფულის შეგროვება.

**დამსწრებული.**

## ჩვენი სახალხო მასწავლებლები

ხშირად წაიკითხავს ჟურნალ გაზეთებში საყვედური და დავალება მიმართული ქალაქის მასწავლებლებისადმი მის შესახებ, რომ ისინი ყოველთვის უნდა კისრულობდნენ რაიმე კეთილ დაწყების და კულტურული დაწესებულების დაარსების საქმეში თაოსნობას, ხმას უნდა აძლევდენ სოფლის მასწავლებლებს და წინ უნდა უძღოდენ მათ, თორემ მიყრუებულ, მივარდნილ სოფელში მყოფ მასწავლებელს რა უნდა მოვთხოვოთ, როდესაც მას არა თუ ამგვარი მძიმე ტვირთვის აწევა, არამედ თავის სკოლის საქმეც ვერ მოუწესრიგებია. მეც მეგონა, რომ ასეთი საყვედური მართლა სამართლიანი იყო და ვამტყუნებდი ქალაქის მასწავლებლებს მცონარებაში და დაუდევრობაში;

დღეს კი სრულიად შემეცვალა აზრი, შემდეგის შემთხვევისა გამო: წასულ წელს, არდადეგების დროს, ივნისის თვეში, ლექციების დამთავრების შემდეგ, სახალხო მასწავლებელთა დირექტორის დახმარებით, მასწავლებელთა ერთმა ჯგუფმა, რიცხვით 50 კაცმა, შეასრულა ექსკურსია ჩაქვა-ბათომ-ფოთ-სოხუმ-ახალ-ათონში, რომელმაც კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ექსკურსანტებზე და ყველა კმაყოფილი დაბრუნდა. წელსაც ქუთათურ მასწავლებლებმა განვიზრახეთ დირექტორის ნებართვითა და დახმარებით ასეთ ექსკურსიის გამართვა, რის გამო მოუწოდეთ სახალხო მასწავლებლებს გაზეთების საშუალებით („კოლხიდა № მე-44 და „სახალხო გაზეთი" № მე-310). გზის ფულად საჭირო იყო მხოლოდ ოთხი მანეთი შეღავათიან პირობებისა გამო, ექსკურსია გაგრძელდებოდა 5—6 დღე და დაჯდებოდა სულ ხარჯით, ე. ი. საჭმელ-სასმლით, 8 მანეთი, სამაგიეროდ ნახავდნენ ბევრ რამ შესანიშნავს, როგორც ახალ-ათონის მონასტერში, აგრეთვე გზაში: ახალ ათონიდან განზრახული იყო იყო დაბრუნება დილიჟანს-ლინეიკებით სოხუმში შავი ზღვის პირად მიმავალი გზა-ტკეცილით, 22 ვერსის მანძილზე, რომლის დროსაც ექსკურსანტები დაათვალიერებდენ გზა-გზა აფხაზეთის სოფლებსაც. ბევრია ისეთი მასწავლებელი, რომელსაც არა თუ ზღვით მოგზაურობა, არამედ ზღვა და გემიც არ უნახავს. რამოდენიმე წლის განმავლობაში სოფელში ერთადგილას ჯდომის შემდეგ ასეთი გასეირნება გამოაცოცხლებდა, გაახალისებდა ბავშვების ყვირილით ტვინ გადაბრუნებულ და არაქათ გამოლეულ მასწავლებლებს. თუმცა დარწმუნებული ვიყავით, რომ ამგვარი შემთხვევით ჩვენი მასწავლებლები არ ისარგებლებდენ, რადგანაც ისინი მხოლოდ მთავრობას შეჰყურებენ თვალ-წარბში, მაგრამ მაინც ვცადეთ და, დახე ჩვენს განცვიფრებას, მხოლოდ სამი სოფლის მასწავლებლისაგან მივიღე სურვილის გამოცხადება და ფული: კორბოულიდან—ბ. ბ. ხარშილაძე და მაჭარაშვილისაგან, შუქრუთიდან—ბ. ჩინჩალაძისაგან. ქუთათურ მასწავლებლებმა კი განაცხადეს სურვილი, მაგრამ ექსკურსია იმართებოდა სოფლის მასწავლებელთათვის, ამიტომ ქალაქის მასწავლებლების ჩაწერა და წაყვანა უხერხულად ჩავთვალეთ. ამასთანავე დირექტორისათვის უნდა წარგვედგინა სია სოფლის მასწავლებელთა. ამის გამო ექსკურსია აღარ შესდგა და მიღებული ფული ისევ პატრონებს დავუბრუნეთ.

ამის შემდეგ კიდევ ეთქმის ქალაქის მასწავლებლებს საყვედური? ზოგი სოფლის მასწავლებელთაგანი დირექციაში კითხულობდა, საექსკურსიო ფულს ვინ გვაძლევსო?

დიახ, ჩვენი მასწავლებლები, როგორც ბევჯერ მოგახსენეთ, მთავრობას შეჰყურებენ ხელში, მათ არაფრის უნარი, ნიჭი და ენერგია აქვთ თავისით. დარწმუნებული ვარ, რომ მათგან სამს მესამედს არც წაუკითხავს გაზეთებში დაბეჭდილი განცხა-

---

ლური (ხელოვნური), სასუქი ამ ხანში დესეტინაზე იძლევა ქარბ-მოსავალს 814 მ. 10 კ.; სასუქი კი ღირდა 308 მ. 66 კ.; ასე რომ შვიდი წლის წმინდა შემოსავალი იყო 605 მ. 44 კ.; ანუ 86 მ. 49 კაპ. წელიწადში. *)

ნებას ვაძლევთ ჩვენს თავს და მაგალითად კიდევ ერთ ცდას მოვიტანთ, რომელიც იმითია საინტერესო, რომ იგი დიდხანს გრძელდება. გერმანიის აგრონომიის ცნობილმა მუშაკმა პროფესორმა კიუნმა გამოაქვეყნა თავისი გამოკვლევანი; იგი 23 წლის განმავლობაში შეუწყვეტლივ სცდიდა ვსილის ანეულის (შემოდგომის) ნათესს პალლეს უნივერსიტეტის საცდელ მინდორზე; ერთს ნაჭერ მიწაზე, რომელზედაც ყოველწლივ სთესდნენ ახალ თესლს, არაფრით აპატივებდნენ, არ ასუქებდნენ; მეორეზე მიწას ძალზე ასუქებდნენ ნეხვით, მესამეზე მხოლოდ ხელოვნური სასუქით აპატივებდნენ მიწას, ნეხვს კი სრულიად არ აყრიდნენ; ხუთი წლის განმავლობაში, 1894—1898 წწ., თითო დესეტინაზე ანეული ვსილა მოვიდა გაუპატივებულ მიწაზე—108 ფუთი (5 წლის ვანმავლობაში), მარტო ნეხვით გაპატივებულზე—142 ფუთი, მარტო ხელოვნურ სასუქით გაპატივებულზე—159 ფუთი; ნამჯა—გაუპატივებელზე—212 ფუთი, ნეხვით გაპატივებულზე—$309^{1}/_{2}$ ფუთი, ხელოვნურ სასუქი გაპატივებულზე—327 ფუთი; ფულად რომ ვიანგარიშოთ შემოსავალი დესეტინაზე იყო: ნეხვით გაპატივებულზე 68 მ. 8 კაპ; მინერალურ სასუქით გაპატივებულზე—80 მ. 4 კაპ; რადგან ნეხვი ღირდა 33 მ. 12 კაპ; მინერალური სასუქი კი 33 მ. 58 კაპ; ყოველწლივ, ამიტომ წმინდა მოგება მიღებული მინერალურ სასუქისაგან უდრის 46 მ. 46 კაპ., ხოლო ნეხვისაგან—34 მ. 50 კაპ.; დესეტინაზე წელიწადში, ე. ი. 26% ნაკლები.

ჩვენ მოვიყვანეთ მაგალითები მოსავლის გადიდება, მატებისა მინერალურ სასუქების ზედგავლენით; მაგრამ მოსავლის მოჭარბებას ამის გარდა ხელს უწყობს შესაფერ ჯიშის საუკეთესო თესლის ამორჩევა. სათესლის გაუმჯობესობა, რომელმაც 25 წლის განმავლობაში დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ. *).

თუ სასუქის ზედმოქმედებას დაერთო კიდევ მაღალი ღირსების სათესლე, მაშინ ჩვენ მივიღებთ ასეთ ციფრებს, რომელიც ძალზე გადააჭარბებენ ზემოთ-მოტანილით. გერმანიაში ანეულ პურის (ხორბლის) მოსავალი, თუ პირობებმა ხელი შეუწყეს და საქმესაც წესიერად აწარმოებენ, აღწევს დესეტინაზე $263^{1}/_{2}$ ფუთს მარცვალს და $329^{1}/_{2}$ ფუთს ნამჯას, შემოდგომის ვსილა 280 ფუთამდე დესეტინაზე, ქერი 313 ფუთი დესეტინაზე, შვრია 335 ფუთამდე და კარტოფილი 2150 ფუთამდე დესეტინაზე! ვიდრე მინერალურ სასუქების ხმარება შევიდოდა, საუკეთესო ნიადაგზედაც და რაც უნდა რიგიანად ეწარმოებინათ საქმე, მაინც წარმოუდგენელი იყო ამისთანა მოსავალი!

საფრანგეთში უკვე 30 წელიწადია რაც ცნობილი მეურნე და სწავლული გრანდო ეკონომიურად სარგო (სარფა) ინტენსიურ მეურნეობის ტიპის გამოკვლევისთვის მუშაობს. 1902 წელს გრანდომ გამოაქვეყნა შედეგი პარიზის საცდელ მინდორზე გამართულ გამოკვლევათა; გრანდო ძალიან ცოტა მინერალურ სასუქს ხმარობდა: ჰექტორზე (დესეტინის $^{9}/_{10}$ ია) იგი ხარჯავდა სულ 17—20 მანეთის ღირებულს ხელოვნურს სასუქს) საშუალო შემოსავალი გაპოხიერებულ ბარდულებზე იყო 1901 (წელს პურისა 140 ფუთი დესეტინაზე, გაუპოხიერებულზე 44 ფუთი დესეტინაზე. მაშასადამე ხელოვნურ სასუქით გაპატივებულ ნაჭერზე მოვიდა ჭარბი მოსავალი დესეტინაზე 86 ფუთი, და ამის გარდა კიდევ 114 ფუთი ჭარბი ნამჯა! ჭარბ მარცვლის ღირებულება შეადგენს 114 მ. 12 კ., ნამჯისა—19 მ., ხოლო პატივისა და ზედ-მეტ მუშაობის ღირებულება (რასაც გრანდო დესეტინაზე $9^{1}/_{2}$ მანეთად ანგარიშობს), რომ გამოვაკლოთ, წმინდა მოგება უდრიდა 104 მანეთს, რაც ხუთჯერ მეტია სასუქის ღირებულობაზედ. ამგვარად იმავ წელს მინერალურ სასუქის ხმარებით (ხარჯი-ბორჯი ერთი და იგივე იყო ზემოხსენებულთან) ვსილამ მოგვცა წმინდა მოგება 92 მ. 16 კაპ., შვრიამ 95 მ. 40 კ.

ჩვენ განვიხილეთ, თუ როგორ იცვალა მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ 25 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობის თეორია — პრაქტიკა მთელი წყება შესანიშნავ აღმოჩენათა წყალობით. უმთავრესი წილი ამ ცვლილებაში ეკუთვნის მინერალურ სასუქის მნიშვნელობის გამორკვევას, აგრეთვე იმის აღმოჩენას, თუ როგორ შეიძლება ჰაერის აზოტის ნიადაგში მოქცევა, შეკრება. ამ აღმოჩენათ უდიდესი ეკონომიური მნიშვნელობა აქვთ საზოგადოდ და კერძოდ შეეხნენ წვრილ მეურნეობის მოცილეობას მსხვილთან. ძველ თეორეტიკოსებს სრული უფლება ჰქონდათ დაემტკიცებინათ, რომ წვრილმა მიწათმოქმედებამ უკეთესი მომავლის იმედი უნდა გადიწყვიტოსო. უწინ წესიერი მიწათ-მოქმედება დაფუძნებული იყო უმთავრესად მიწის ძირიანად გაუმჯობესობაზე (მელიორაცია), რაიც ძვირი ჯდებოდა, მანქანების მრავლად ხმარებაზე და საქონლის მრავლად მოშენებაზე, რადგან მხოლოდ საქონელი იძლეოდა მიწის ნაყოფიერობის მოსაჭარბებელ მასალას—ნეხვს; პირველიც, მეორეც და მესამეც ხელმისაწდომი იყო მხოლოდ მსხვილ მემამულეთათვის, რომელთაც ჰქონდათ ამისათვის საჭირო თანხა და ცოდნა, ან შეეძლოთ მცოდნე კაცების დაქირავება. ყველა ეს გაუმჯობესობა კი ბევრს დროს საჭიროებდა, ვიდრე პატრონს თავის დანახარჯს დაუბრუნებდა, სანამ კი მეურნე მხოლოდ უკეთესი მომავლის და შემოსავლის მატების იმედით უნდა ყოფილიყო. ეს ანგარიშვარაუდი სრულად გამოიცვალა, როდესაც მინერალურ სასუქების და მორჩეულ სათესლის ხმარებამ პირველი ადგილი დაიჭირა იმ საშუალებათა შორის, რომელნიც მიწათმომქმედის შემოსავალს adიდებდნენ; ამგვარ ეკონომიურ კაპიტალს სულ სხვა ეკონომიური ბუნება აქვს, ვიდრე ზემომოტანილთ; მინერალური სასუქი და მორჩეული თესლი სხვა სამიწათ-მოქმედო გაუმჯობესობათაგან იმით განსხვავდებიან, რომ სწრაფად მოქმედებენ, შეიძლება ვთქვათ, ხელადვე. მათის ზედმოქმედებით მოსავალი მატულობს იმავ წელს და პატრონს დანახარჯს უბრუნებს უხვად, ზოგჯერ უზარმაზარ მოგებით. ამ გარემოებას ერთობ დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან მის მეოხებით შესაძლებელი გახდა ახალი სისტემის ხმარება არა მარტო მესაკუთრეთათვის, არამედ დროებით მფლობელთა და მოიჯარადრეთათვისაც კი, რომელნიც ზოგჯერ მიწას მხოლოდ ერთის წლის ვადით ჰქირაობენ. მინერალური სასუქი მოქმედობს მსხვილ და წვრილ მამულებში, ნოყიერსა და მწირ მიწაზე, მწირზე უფრო შესამჩნევად და განსაცვიფრებლად. მოსავლის გასადიდებლად ახალ საშუალებათა მეოხებით არ არის საჭირო არც ნიადაგის ხანგრძლივი შემზადება, არც ძირითად თანხის დიდს ხარჯს მოითხოვს. საქონლის მოშენებაც არ არის საჭირო მიწათ-მოქმედებისათვის: იმ ხნიდან, რაც საქონლის ნეხვის მაგიერობას მშვენივრად ასრულებს ხელოვნური სასუქი (მინერალური და ხელოვნური სასუქი ერთია), საქონლის რაოდენობა იმით კი აღარ ისაზღვრება, თუ რამდენია საჭირო მიწის მოსაპოხიერებლად, არამედ მხოლოდ საქონლის მოშენების სარგებლობა-ხეირით. რასაკვირველია ხარჯი მცირე როდია, როცა ხმარობენ მინერალურ სასუქებს, მერე საუკეთესო ამორჩეულს თესლს, როცა ნიადაგს უფრო უკეთ შეიმუშავებენ, მაგრამ სამაგიეროდ ხარჯი საჭიროა მხოლოდ ერთს სამეურნეო წლისათვის და ამასაც მოაქვს აუცილებელი მოგება. ამის გარდა, ისიც გავიხსენოთ, რომ ამ ხანად საჭირო თანხის შოვნა ადვილი შესაძლებელია ჩვეულებრივ მოკლევადიან სესხის წყალობით.

ამ რიგად ხმარებამ მინერალურ სასუქისამ, ამორჩეულ თესლისა და საკვებ ბალახების მოთესვამ იმედი მისცა წვრილ მეურნეთაც უკეთესი მომავლისა, წარმატებისა. ის ცვლილება, რომელსაც ახდენს ახალი წესი მინდორ-ყანის მდგომარეობა-მოსავლიანობაში იმდენად შესამჩნევი და საჩინოა, რომ მიწათ-მომქმედს ბუნებრივად დაებადა ცხარე რწმენა მეცნიერებისა და გატაცებული სურვილი ჩანაგონების განხორციელებისა.

ე. კარბელაშვილი.

*) ა. გაგნერი. მიწის გაპოხიერების სახითხი 1904 წ., გვ. 1576.

*) მრავალი გამოკვლევა მოწმობს იმის შესახებ თუ რა გავლენა აქვს თესლის ხიაგ-კარგეს მოსავლის რაოდენობაზე; ამ მაგალითებიდან მოვიტან მხოლოდ ლაუხშტეტის მამულის (ჰალლეს სასოფლო სამეურნეო საცდელ მინდორს ეკუთვნის) გამოკვლევას; ამ მამულში მიწას ერთნაირად ამუშავებდნენ, ასვეთებდნენ, ერთნაირად აპატივებდნენ; განსხვავება იყო მხოლოდ თესლის ღირსებაში. აი როგორ იწყებოდა მოსავლის რაოდენობა:—ანეულ პურისა—$38^{1}/_{2}$ ფუთიდან—82 ფუთამდე დესეტინაზე; ქერისა—14 ვიდრე 52 ფუთამდე დესეტინაზე; შვრიისა—7—54 ფუთამდე დესეტინაზე. ლაუხშტეტის მამულის გამოცდილება ნათლად მოწმობს, რომ თესლის ხიაგ-კარგეს დიდი წილი უდევს მოსავლის სიდიდ-სიმცირეში; და თუ თესლი უვარგისია, მოსავალი მცირე იქნება, კიდევაც რომ უხვად იყოს ნაზმარი სასუქი და საუკეთესოდ იყოს მიწა შემუშავებული.

დება, რადგან გაზეთებს არ იწერენ და არც კითხვით იწუხებენ თავს. რა სიკეთეს უნდა მოველოდეთ ასეთი ჯურის მასწავლებლებისაგან?! ნუ თუ მარტო ის კმარა, ბავშვებს „Мячикъ" და „Волчокъ" აზეპირონ, შემდეგ ყვითელ ფოლაქებიანი ტუჟურკები ჩაიცვან, კაკარდიანი ქუდები დაიხურონ და სოფლის ბაზარზე ისეირნონ?! არა საჭიროა მეტი ენერგია, სიფხიზლე, უნარი და მეტი განვითარება სახალხო მასწავლებელთათვის, თორემ ასეთი კუს ნაბიჯით ისინი შორს ვერ წავლენ და ვერც სოფლად გააკეთებენ რამეს.

**ლადო ბზვანელი.**

# მოწერილი ამბები

**სოფ. მეჯვრისხევი** (ქართლი). 8 მკათათვეს დილის 10 საათისთვის მეჯვრისხევის სამმასახლისოდან შეიკრიბა ხალხი ადგილობრივ უსანეთის ეკლესიის ეზოში და ელოდნენ გუბერნატორს. აქ იყვნენ სამღვდელოება, თავად-აზნაურნი და გლეხკაცნი. 12 საათზე მობრძანდა გუბერნატორი მაზრის უფროსით, საგუბერნიო ექიმით და სხ. მღ. სეთ გამრეკელოვმა მიიღო გუბერნატორი ეკლესიაში და მოახსენა სიტყვა, რაზედაც გუბერნატორმა მოკლედ მისცა პასუხი. შემდეგ მღვდლებმა გადაიხადეს პარაკლისი. ეკლესიიდან რომ გამოვიდა, გლეხკაცობამ პურ-მარილი მიართვა. იქიდან თ-მა ნ. ერისთავმა თავის ბინაზე მიიწვია, სადაც თავად-აზნაურნიც გაჰყვნენ. გლეხები ეკლესიასთან ელოდნენ. აქ თავად-აზნაურობამ დამზადებული ქაღალდი მიართვა. გუბერნატორმა წაიკითხა და ყველა მუხლები ცალკ-ცალკე გამოარკვია. 1. შეეხნენ ექიმს და ქსენონს. გამოჰკითხა—მიზეზი წინანდელი ქსენონის დაკეტვისა, გამოიანგარიშეს ეხლა რამდენი ხარჯი დასჭირდება,—რამდენი სოფელი მიიღებს მონაწილეობას, როგორ დახმარებას აღმოუჩენს თავად-აზნაურობა და დაჰპირდა, ვეცდები ხაზინამ მისცეს ასი თუმანი, დანარჩენისთვის თქვენ იზრუნეთო. საზოგადოებამ სთხოვა გუბერნატორს, მოგვეხმარეთ რომ ხაზინიდან დავიბრუნოთ სამასი თუმანი, რომელიც ძველის ქსენონის გაყიდულ ნივთებიდან შემოვიდა და მიბარებული გვქონდა გორის მაზრის უფროსად ნამყოფ ბ. ბაქრაძესთან რომელსაც შესანახად შეუტანია გორის ხაზინაშიო. გუბერნატორმა დახმარება აღუთქვა.

2. სასმელი წყლის გამოყვანაზე—უპასუხა, გამოვაგზავნინებ მაგ საქმის მცოდნე პირს ბ. ქურდიანს, ის გამოიკვლევს ვარგა თუ არა ის წყალი, ან რამდენად დაგიჯდებათ და მერე თქვენ იცით, შეიძლებით თუ არა გაკეთებასაო.

3. ოთხ-კლასიან სკოლის გახსნაზე დანამდვილებით არა სთქვა რა.

4. დაჰპირდა ფოსტის გახსნას.

5. მომრიგებელ შუამავლისა და მოსამართლის თაობაზე დაჰპირდა გავიგებ ყველაფერს და, თუ შესაძლებელია, ვეცდები საქმე გაგიკეთოთ.

შემდეგ მოვიდნენ გლეხები. ექიმმა ქიქოძემ გარკვევით აუხსნა მნიშვნელობა საავადმყოფოსი, ექიმისა, გაახსენა მარშანდელი ზარალი ხოლერისაგან, დახმარება ხაზინიდანაც, ის თუ თითონაც რა მცირედი დაეხარჯებათ და დაიყოლია ხალხი. მერე ისე აუხსნა მნიშვნელობა წყლისა და სხვა.. თითქმის ყველაფერს დასთანხმდნენ.

გლეხებმა განსაკუთრებით სთხოვეს გუბერნატორს, დაგვეხმარეთ რომ ტყით შეგვეძლოს სარგებლობა და დარჩენილი სკოლის ფული გვეპატიოსო. სასკოლო ფულის პატიებისა ბ. მაზრის უფროსმა უთხრა, მაგას ტყუილად ითხოვთ, მე დანამდვილებით გეტყვით, რომ იმ სამასი თუმნიდან, რომელიც თქვენ გემართათ, ნაწილი უკვე გეპატიეს, დარჩა თქვენზედ 1607 მანეთი, ამისი პატიობა აღარ შეიძლება, მხოლოდ თქვენ შეგიძლიანთ სთხოვოთ დირექტორს შეგაძლებინოსთ ამ ფულის გადახდა ნაწილ-ნაწილ, 5 წლის განმავლობაშიო.

გუბერნატორმა აღუთქვა დახმარება. ამასთანავე მომრიგებელ შუამავალს დაავალა ყველა თხოვნაზე დაადგინეთ ცალკე განაჩენი და წერილობით გადმომეცითო მრავალი თხოვნა მიართვეს.

დასასრულ თარჯიმანის პირით გადასცა ხალხს მადლობა კეთილი მიღებისთვის, მოხარული ვარ, რომ ეგრე კარგად გესმით თქვენთვის რა არის საჭირო, ვხედავ რომ შრომის მოყვარე პატიოსანი ხალხი ბრძანდებით, ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინეთ ჩემზედ, მეც ვეცდები თქვენი თხოვნა შევასრულოო. ხალხმა მადლობა გადაუხადა და გაიცილა. **დამსწრე.**

# სპარსეთის ამბები

**დეპეშები.**

12 მკათათვე.

**თეირანი.** კაბინეთთან ერთად მეჯლისმა შეადგინა კომისია, რომელმაც მთავრობასა და პარლამენტს შორის კავშირი უნდა დაამყაროს. კომისია რეგენტმაც მოიწონა. კომისიას მალე შეუერთდნენ კერძო პირნიც, წარმომადგენელნი უკიდურესი ნაციონალიზმისა. კომისიამ მიითვისა უმაღლეს კომიტეტის ფუნქციები; საზოგადოებრივ უშიშროების დაცვა და მთავრობის ყოველ საქმეებში ჩარევა. კომისია არასასიამოვნო პირთა დატუსაღებას ხელმძღვანელობს, კაბინეთმა გადადგომა ითხოვა. თხოვნა მიღებულ იქმნა, ახალი კაბინეთი, როგორც ეტყობა უკიდურეს ელემენტებისაგან შესდგება, ეხლა მთავრობა ფაქტიურად აღარ არის. მდგომარეობა ძალიან გართულებულია. აწინდელ წესწყობილებით უკმაყოფილოთა რიცხვი იზრდება.

**თავრიზი.** გამსესხებელ-გამნაღდებელ ბანკის განყოფილებამ გახსნა მუდმივი გამოფენა რუსულ იმ საქონლისა, რომელსაც სპარსეთში გასავალი აქვს. გამოფენამ თავრიზის ვაჭრები ძალიან დაინტერესა. გამოფენაზე 10.070 კაცი იყო.

**თავრიზი.** მაჰმედ ალი-შახის სპარსეთში მოსვლას ხალხს უმალავენ. აკრძალულია შახად ნამყოფის სახელი ხსენება. ვინც ამას გაჰბედავს ატუსაღებენ, მათრახებით სცემენ და დიდ ჯარიმას ახდევინებენ.

**სპარსეთის ნოტა რუსეთისადმი.**

სპარსეთის მთავრობა ირწმუნება, მაჰმედ-ალი-შახი რუსეთის გემით მოვიდა და რუსეთმა შაჰს სპარსეთისაკენ გამგზავრებაში ხელი არ შეუშალაო. ამით სპარსეთი იძულებულია, რუსეთს ნოტა გაუგზავნოსო. 8 ამ თვეს სპარსეთმა ეს ნოტა უკვე გადასცა რუსეთის თეირანელ ელჩს. ნოტა ჯერ კი მკვახედ იყო შედგენილი და რუსეთს ემუქრებოდნენ, თუ რუსეთი შახად ნამყოფს და მის მომხრეებს მიეშველება, მაშინ მთელი ზარალი, რაც კი სპარსეთს ამ უწესოებით მოუვა, რუსეთმა უნდა გადაიხადოსო, მაგრამ ნოტის ეს კილო შემდეგში შესცვალა სპარსეთის მთავრობამ და მხოლოდ განუცხადა, სპარსეთი იმ ზარალს არ ანაზღაურებს, რაც სპარსეთში მცხოვრებ რუსის ქვეშევრდომთ მოუვათო.

**ამნისტია და ბრძანებანი.**

შახად ნამყოფმა ყველას, ვინც კი რევოლიუციაში მონაწილეობდა, ამნისტია გამოუცხადა; ამასთანავე განაცხადა, რომ იგი კონსტიტუციის დამცველი იქნება და, ვინც კი მის წინაამდეგ იმოქმედებს, ყველას შეუბრალებლად მოექცევა.

თეირანში ხმა გავრცელდა, საპეხდარმა მაჰმედ-ალი-შახისაგან დეპეშა მიიღო, რომლითაც ყოფილი შაჰი პირველ მინისტრს უბრძანებს, ჯერ-ჯერობით შენს თანამდებობაზე დარჩიო. ამასთანავე უბრძანებს, დედა-ქალაქში წესიერება დაიცვი, ვიდრე მე მოვიდოდეო. მინისტრს დეპეშითვე უპასუხნია, სპარსეთი მარტო კონსტიტუციურ მონარქს დაემორჩილებაო.

**თურქმენები და ბახტრიარები.**

ვინც კი თურქმენებს კარგად იცნობს, ამბობს, რომ ბახტრიარებს თურქმენებთან ბრძოლა გაუჭირდებათო; ბახტრიარები მაჰმედ-ალი შაჰის წინაამდეგ იგზავნებიან.

ვენაში მყოფი სპარსელები ამბობენ, ვითომც შახად ნამყოფი თეირანში სამი კვირის შემდეგ მივაო. როგორც ამბობენ, ბახტიარებს ეშინიანთ, მომავალ შაჰის ჯარს წინ რომ დაუხვდეთ მისმა მომხრეებმა ვაი თუ უკანიდან გზა მოგვიჭრანო. ამიტომ გადაწყვეტილი ჰქონიათ, შაჰად ნამყოფს მხოლოდ თეირანის ახლოს გაუმკლავდნენ და ისიც ძალიან სუსტადაო.

**სომხები და მაჰმედ ალი.**

მაჰმედ-ალის, როგორც ეტყობა, კარგად სცოდნია თუ რა როლს ითამაშებდა მის საქმეში ეფრემი, რომელიც ეხლა მთავრობამ მის წინაამდეგ გაჰგზავნა. ამიტომ სალარდოულეს სომხების ეპისკოპოსისათვის დეპეშა გაუგზავნია, სომხებისათვის სპარსეთი მუდამ თავ-შესაფარი იყო და აქ სომხები თავისუფლად სცხოვრობდნენ, ამიტომ მათი მოვალეობაა, რომ „კანონიერ მთავრობის" დამყარებას ხელი არ შეუშალონო.

**სარდარ-ასადი.**

ბახტიარების მეთაური სარდარ-ასადს მეჯლისმა დეპეშა გაუგზავნა და სპარსეთში მიიწვია. სარდარ-ასადმა უპასუხა, ევროპიდან წამოსვლა არ შემიძლიაო. ბახტიარების ხანებისათვის კი ბრძანება შეუთვლია, კონსტიტუციის ერთგულნი იყავით და მისთვის იბრძოლეთო. მეჯლისს დაუდგენია, ხელ-ახლად ვთხოვოთ დაბრუნებაო.

**ენერგიულად მოქმედების საჭიროება.**

თეირანში ყველა დარწმუნებულია, რომ თუ მაჰმედ-ალის საწინააღმდეგოდ მოქმედება ეხლავე დაიწყეს და საქმეს ენერგიულად მოეკიდნენ, მაშინ მაჰმედ ალის დამარცხება ადვილი იქნებაო, მაგრამ თუ მოხსენებული დრო ხელიდან გაუშვა მთავრობამ, მაშინ მაჰმედ-ალი თეირანში მალე გაჩნდებაო.

მეჯლისმა თეირანელი დეპუტატი თავის ამომრჩეველებთან გააგზავნა; დეპუტატმა თურქმენებს უნდა ურჩიოს, ძველ შაჰს მხარს ნუ უჭერთო.

**ჯარის გაგზავნა.**

მაჰმედ ალი შახთან საბრძოლველად გამზადებულია 12.000 კაცი. მაზანდერანის ოლქში ზარბაზნები უკვე გაიგზავნა.

**რა გუნებაზეა თეირანი?**

დედა-ქალაქში სიწყნარეა, მხოლოდ ღამ-ღამობით ქუჩებში ყარაულები დადიან. ყველას ისე გაუტყდა გული ახალ-მთავრობაზე, ამბობენ ზოგიერთი მინისტრი ძველ შახს თანაუგრძნობსო.

**ოსმალეთის ელჩის ნაკვესი.**

თეირანში ძველი შახის მომხრეები ამბობენ, მაჰმედ-ალიმ ევროპაში ბევრი რამ შეისწავლა და ეხლა იგი განათლებული კაციაო. ერთ ამისთანა ლაპარაკში ოსმალეთის თეირანელი ელჩი ჩაერია და სთქვა: მექქაში ბევრი აქლემი მიდის, მაგრამ ესენი მლოცველები ხომ არ არიანო...

**ნობელის მარცხი.**

რუსეთის ელჩმა სპარსეთის მთავრობას უთხრა, თქვენი მოქმედება, რუსეთის ვაჭრებს ხელს უშლისო. ეს განცხადება თურმე განსაკუთრებით ნობელის გეგმას ეხებოდა. დიდი ხანია, რაც ნობელი სპარსეთის მთავრობას სთხოვს თურმე, ნება მომეცით ენზელიდან რეშტამდის ნავთის საყვანი მილები გავიყვანოო. ნობელი სპარსეთს არაფერს სთხოვდა, პირიქით მისი ყოველნაირი წინადადების თანხმა იყო და მილებიც იჯარით აღებულ მიწებზე უნდა გაეყვანაო. სპარსეთის მთავრობამ არავითარი პასუხი გასცა, უთხრა, სრული წელიწად-ნახევარია ეს საქმე დაწყებულიო ნობელის გეგმა სპარსეთისათვის საზარალო არ იქნებოდა, პირიქით, ნავთი უფრო გაიაფდებოდა.

**ავსტრიის „სამსახური".**

მაჰმედ-ალი შაჰი ბადენში ტყუილად არა ყოფილა. იქ თურმე ავსტრიის თოფხანებში იარაღსა ჰყიდულობდა და რამდენიმე მსწრაფლსროლელ ზარბაზნის შეძენაც კი მოუხერხებია. ნაყიდი იარაღი მაჰმედ-ალი შახის კაცთ ბაქოზე გაუტარებიათ და სპარსეთში შეუტანიათ. რასაკვირველია, ავსტრიის მთავრობისათვის მაჰმედ-ალის მოქმედება საიდუმლო არ იქნებოდა, მაგრამ მან ხელი მაინც არ შეუშალა. ვენელი პოლიტიკოსები ამბობენ, ამით ავსტრიამ რუსეთს „სამსახური" გაუწიაო.

**ბაჰსეთის მზადება შაჰის დახახვედრად.**

თეირანში ცნობა მისულა, მაჰმედ-ალი-შაჰი ასტრაბადიდან თეირანზე სამშაბათს გაილაშქრებსო. თეირანიდან შახის დასახვედრად დიდი ჯარი წავიდა. ჯარს აქვს ზარბაზნები და ტყვიის მტყორცნელები. სარდლად ეფრემია. ამზადებენ გასაგზავნად კიდევ 5,000 ბახტიარს.

# დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

12 მკათათვე.

**საზღვარ-გარედ.**

**სტამბოლი.** ოფიციალური ცნობებით 7 ათასი შენობა დაიწვა. დამწვარ სახლების თვლა ჯერ არ გათავებულა. ზარალი 3 მილიონ გირვანქამდეა (30 მილიონი მანეთი). რამდენი კაცი იმსხვერპლა ცეცხლმა ჯერ არ იციან. ცეცხლის წაკიდებაში ეჭვი 60 კაცზე მიიტანეს. ყველა დატუსაღებულია. ამათში ზოგი ბერძენია, ზოგიც ქურთი. 15 ქურთი დაატუსაღეს, რადგანაც ესენი ცეცხლის დროს ქრისტიან ქალებს იჭერდნენ. ცეცხლი ქალაქში ისევ მძვინვარებს. აქ 600 სახლი დაიწვა. ქარს ცეცხლი სტამბოლის ზემო უბნებისაკენ მიაქვს. ქალაქში ხმა აა, ვითომც რევოლიუციონური მოძრაობა იწყობოდეს. სერიოზულ ამბებს ელიან. ჰუსნიედან იტყობინებიან: ჩერნოგორელები და მალისორები ოსმალების ჯარს დასცემიან. ორი საათის ბრძოლის შემდეგ ოსმალებს ჩერნოგორელები და მალისორები მოუგერებიათ.

**ბერლინ.** კრეისერ „ბრემენმა" ბრძანება მიიღო პორტ-ო-პრენსს წასვლისა.

**ლონდონი.** ასკვიტის წინააღმდეგ დემონსტრაცია გაიმართა. ესეთი შემთხვევა ქვედა პალატის ისტორიაში უმაგალითოა. უნიონისტებმა ასკვიტს თანაგრძნობა განუცხადეს.

**ვენა.** „კორესპონდენტ ბიუროს" ცეტინიედან ატყობინებენ, ტყუილია ის ხმა, ვითომ მეფე ნიკოლოზს საჩუქრად ხელმწიფოთათვის ეთხოვნოს მალისორებისათვის პორტას რამე გამოსთხოვოთ. პირიქით, მალისორები ძალიან დასუსტდნენ და ითხოვენ, შეძლება მოგვეცით სამშობლოში დავბრუნდეთო. ჩერნოგორია მათ ამ სურვილს გულწრფელად იზიარებსო.

**პრაგა.** სამხრეთ ჩეხიაში ტრაპიზული სიცხეებია. ტყეს უოველ-დღე ცეცხლი ეკიდება.

**უსკიუბი.** აქ მოვიდა ედხემ-ფაშა, რომელსაც ექიმებმა ხელი მოსჭრეს. ალბანელები სამხედრო პატრულებს ყოველ დღე თავს ესხმიან. პრიზრენდიაკოვოს გზაზე წვრილი რაზმები ვლდარ დადიან. პრიზრენ-სკუტრის გზა მირიდიტებს უჭირავთ.

**რ უ ს ე თ ი.**

**მოსკოვი.** ნიკოლაევსკის ვოკზალში ხმათინკრა ხარიხოები. სამი მუშა მოკვდა, ერთი დაიჭრა.

**ნოვოჩერკასკი.** დნიელოვის უბანში გადაიწვა 150 სახლი.

**ეკატერინოდარი.** სანათსნოდ იგზავნენ მდ. კუბანს.

**პეტერბურგი.** სინოდთან შემდგარ სამოსწავლო კომისიისაგან გამოიყო კომისია, რომელმაც ახალი წესდება უნდა შეუფარდოს სემინარიებში არსებულ ძველს წესდებას.

**ყაზანი.** ქალაქი მესამე დღეა რაც ბოლითაა დაბურული სახაზინო ტყეში გაჩენილ ცეცხლისაგან.

**სამარა.** ილიოდორი 1800 თანამოაზრებითურთ მივიდა გუბერნატორთან, სადაც იკადობეს ჰიმნი. ილიოდორმა მადლობა გადაუხადა გუბერნატორს ამ მსვლელობის ნებადართვისათვის. იქიდან გაემართნენ ივერიის მონასტერში და იქიდან ნავთ-სადგურზე, საიდანაც ჯაწერეზენ სარატოვს უდაბნოში.

**პეტერბურგი.** სახელმწიფო საბჭოში ვაჭრობის მინისტრმა ლიბავის ნავთ-სადგურის გაუმჯობესობის თაობაზე წინადადება შეიტანა.

# გამოსადეგი ცნობა

**ტფილისის ბირჟა**

12 ივლისი.

(ნაჩვენებია განაღდების ფასები).

**სარგებლიან ქაღალდების ფასები:**

| | |
|---|---|
| 4% სახ. რენტა . . . . . . | 93¾ |
| 5% გირ. ფ. სათ.-აზ. სახ. ს.-მამ. ბანკ. | — |
| 4% " " " " | — |
| 3½% " " " " | — |
| 5% გირ. ფურც. ტფ. სათ.-აზ. ბანკ. | 86¼ |
| 4½% " " " " | — |
| 5% " " ქუთ. მიწ. თ.-აზ. ბანკ. | — |
| 5% ობლიგაც. ტფ. ქალაქ. საკ. ხაზ. | — |
| 4½% " " " " | — |
| 5% I მოგებ. ბილეთ. . . . . | 477 |
| 5% II " " . . . . | 366 |
| 5% III " " . . . . | 324¼ |

**სანოვაგისა და ჭირნახულის მაზანდა:**

| | |
|---|---|
| მატყლი თუშური . . . | 7 მ. 30 კ. 8 მ. |
| ბამბა ქუთათური . . . . . | — |
| აბრეშ. პარკი ქუთათ. და ადგილ. | 15-16 |
| ჭიათ. შავი-ქვა (ჩვეულებრივი . | 5½ |
| ჭიათ. შავი-ქვა (გარეცხილი . . | 7 " |
| ყველი ქართული . . . . | 7 მ. 40 კ. 8 მ. |
| თხილი ზაქათალისა . . . . | — |
| ღვინო კახური . . . . . | 3 მ. 50 კ. |
| შაქარი (თავისა . 5 მ. 25 კ. | 5 მ. 30 კ. |
| შაქარი (ფხვიერი | 4 მ. 65 კ. |
| ხორბალი . . . . . . . | — |
| ქერი თეთრი. . . . . . | — |
| სიმინდი . . . . . . . | 80—85 |


# განცხადებანი

**მუხრანის კერძო**

# სამკურნალო

**გ ა ი ხ ს ნ ა**

მუდმივის საწოლებით.

**Тифлисъ—Песковская ул., 9. в 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.**

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

**ატენიანცი ნ. ა.** ყურ., ცხვ., ყელისა 10—11 საათამდე.

**ნ. მ. ახმახოვი**—(მედ. ექ.), ყურის, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

**გ. ა. აბვერდოვი**—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

**ა. ა. გაზაზოვი**—შინაგან სნეულებან დილის 10—11 საათ.

**ტ. ი. გეორგ-ბეგიანი**—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

**ქ. ა. გონიევი**—ბავშვთა სნეულ. (სამშ. ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

**ა. ი. გრიგორიანი**—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

**ი. გ. კალამკაროვი**—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

**ა. ი. კატანიან**—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

**მ. დ. კილოსანიძე**—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

**გ. ა. მელქონიანი**—ქირურგ. სნეულ-5—6 ს.

**ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი**— ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (Ehrlich-Hata „606"-ით,

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—1003—104)

◀ მშობიარეთათვის ▶

# თავშესაფარი ბებია-ქალის თუხარელისა.

ოლგას ქ., ბაბებიოს ინსტიტ. პირდაპირ მშობიარენი და ფეხმძიმე ქალები მიიღებიან ყოველ დროს დღეცა და ღამეც. არის საერთო საწოლი, ცალკე ოთახები და ოთახი საიდუმლოდ მომსვლელთათვის

მიღება ქალის ავადმყოფობით სნეულთა, ძიძების გასინჯვა, ყვავილის აცრა და მასსაჟი ყოველ-დღე დილის 6—7-დან ნაშუადღევის 12 ს.

(თ.—1083—62)

# დოქტ. ნავასარდიანისა

ყოველ დღე, კვირეებს გარდა

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

**დ ი ლ ი თ:**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ყ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საშვებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მულიანი:** 10—12 ს. ყურისა ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტიხიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი.** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისადა ყვავილის აცრა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.

**ბ. გ. ავახართვი:** 1½—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავად.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანი:** 6—8 ს. საშვებ., ქალ. და ბავშ. ავად.

**ო. მ. გეევხკაია-ენგელი:** 6—6½ საშვებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ი. ფ. ვარციშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**11—12 ს. 606 წამლობა, კონსულტატიურად.**

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით სამკურნალოს დირექტორი მედიცინის დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

(წ. (1168—81)

**ქ. თ ე ლ ა ვ შ ი**

**ისყიდება პირველად გამოსული ქართულ ენაზე**

# ჭრა-კერვის

**● წ ი გ ნ ი ●**

თვით-მასწავლებელი, 128 ნახატით. ახალი მეთოდი.

ექვს ნაწილად; ქართული, იმერული, ევროპიული ტანისამოსი და თეთრეული მანდილოსანთათვის და ბავშვთათვის; აგრეთვე ჟურნალების მოხმარება. შედგენილი და გამოცემული

**სოფიო ი. სიმონოვის მიერ.**

ფასი ყდით 3 მ., გაგზავნით 3 მ. 50 კ. ვინც ათ ცალს ანუ მეტს ერთად დაიბარებს, ფოსტით გაგზავნის ფული არ გადახდება. გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც. ადრესი: Въ г. Телавъ, „Школа кройки и шитья Софіи Іосифовны Симоновой. Бульв. пер. 2. собс. домъ.

(100—1140—53)

**გამოვიდა და ისყიდება ქართულად ახალი წიგნი**

# ყ ა ჩ ა ღ ი

# ◀ ტატო წულუკიძე ▶

თარგმანი ვლ. თორელისა. ფასი 35 კაპ., კარგ ქაღალდზე 40 კ. მსურველთ შეუძლიანთ მიითხოვონ ყველა ქართულ წიგნის მაღაზიაში. უმთავრესი საწყობი კი იმყოფება г. Тифлисъ, Книжный магазинъ „Новая Жизнь", Л. М. Карапетяна, Михайловскій пр. № 36. (წიგნშია 180 გვ., 3 სურათით). (6—711—5)

სალიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ

# ძმ. ძეგველოვების

**● მ ა ღ ა ზ ი ა ს ●**

**პუშკინის ქ., საკუთარი სახლი № 9, ტელეფონი № 712,**

ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის

# ✦ ახალ-ახალი ✦

**ოსეტრინა** (ზუთხი) და **სევრიუგა** (ტარაღანა).

# ხიზილალა

ახალი **(Зернистая).**

◀ პარკისა და კოლოფებით ▶

**საუკეთესო დოშები და ზურგიელები**

**მიღებულია დვინის ორაგული (სიომგა)**

**მიგიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა**

**გირვანქა 1 მ. 60 კ. 2 მ.-დან 2 მან. 40 კ.-დე.**

**წითელი ხიზილალა (Кетовая). 60 კ. გირ.**

**და ბელა-რიბიც 50 კ.**

აგრეთვე მიიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები.

(წ—1058—)


სტამბა „სორაპანი" მადათოვის კუნძული.

რედაქტორ-გამომცემელი ნ. ჟორდანიშვილი.